

ა. ბასოკიძე, ბ. ბასოკიძე

ENGLISH GRAMMAR

ინგლისური ენის გრამატიკა

მე-5 შევსებული და შესწორებული გამოცემა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
თბილისი.

ა. გაზოკიძისა და ბ. გაზოკიძის სახელმძღვანელო „ინგლისური ენის გრამატიკა“ გადამუშავებული და შევსებული გამოცემაა. იგი განკუთვნილია ინგლისური ენის შემსწავლელთათვის. წიგნი ორნაწილიანია. პირველ ნაწილში განხილულია მორფოლოგია, მეორეში – სინტაქსი. გრამატიკული წესები და მაგალითები მოცემულია ორივე ენაზე – ინგლისურად და ქართულად. წიგნს დართული აქვს სავარჯიშოები.

ISBN 99940-43-25-0

C O N T E N T S
Part One. Morphology

Parts of speech	7
T h e N o u n	8
Number	10
Countables and Uncountables	18
Gender	21
Case	24
Functions of the Nouns	28
T h e A r t i c l e	29
The Indefinite Article	30
The Definite Article	32
The Use of Article	33
Place of Article	43
T h e A d j e c t i v e	44
Kinds of Adjectives	45
Degrees of Comparison of Adjectives	46
Constructions with comparison	51
Quantitative Adjectives	53
Functions of Adjectives	54
Substantivized Adjectives	55
T h e N u m e r a l	56
Spelling of Numerals	59
Four simple rules of arithmetics	60
Fractions, Dates, Time	61
Functions of the Numerals	61
T h e P r o n o u n	62
Classes of Pronouns	62
Personal Pronouns	63
Possessive Pronouns	65
Emphatic Pronouns	67
Reflexive Pronouns	68
Reciprocal Pronouns	69
Demonstrative Pronouns	69
Interrogative Pronouns	70
Indefinite Pronouns	72
Negative Pronouns	80
Relative Pronouns	83
T h e V e r b	84
Finite and Non-Finite Forms of the Verb	84
Regular and Irregular Verbs	85
Transitive and Intransitive verbs	86
Notional, Auxiliary and Semi-Auxiliary verbs	87
Auxiliary Verbs	88

The Indefinite Tenses	95
The Present Indefinite Tense	95
The Past Indefinite Tense	99
The Future Indefinite Tense	103
The Future-in-the-Past Indefinite Tense	105
The Continuous Tenses	106
The Present Continuous Tense	107
The Past Continuous Tense	109
The Future Continuous Tense	110
The Future-in-the-Past Continuous Tense	112
The Perfect Tenses	113
The Present Perfect Tense	113
The Past Perfect Tense	116
The Future Perfect Tense	118
The Future-in-the-Past Perfect Tense	120
The Perfect Continuous Tenses	121
The Present Perfect Continuous Tense	121
The Past Perfect Continuous Tense	122
The Future Perfect Continuous Tense	124
The Future-in-the-Past Perfect Continuous tense	125
The Passive Voice	127
The Indefinite Passive Tenses	128
The Perfect Passive Tenses	130
The Continuous Passive Tenses	133
The Change of Active Sentences into Passive Ones	135
Mood	135
The Indicative Mood	135
The Imperative Mood	135
Modal Verbs	136
Non-Finite Forms of the Verb	146
The Infinitive	146
The Participle	152
The Gerund	157
The Verbal Noun	165
The Adverb	166
Simple and Derived Adverbs	166
Degrees of Comparison of Adverbs	168
Constructions with Comparison	169
The Place of Adverbs in the Sentence	172
The Preposition	174
Place of Preposition in the Sentence	177
The Conjunction	177
The Particle	179
The Independent Elements	180
Modal Words	180
Words of Affirmation and Negation	181
Word-sentences and phrase-sentences.	181

The Interjection	182
Parentheses	182
Word building	183
Wordbuilding of Nouns	183
Wordbuilding of Adjectives	187
Wordbuilding of Verbs	189
Prefixes	191

Part Two. Syntax

The Sentence	194
Kinds of Sentences	194
Types of Sentences	197
Types of Subordinate Clauses	199
Parts of the Sentence	205
Principal Parts of the Sentence	205
The Subject	205
The Personal Pronoun "IT" as Subject	206
The Predicate	208
Agreement between Subject and Predicate	211
Secondary Parts of the Sentence	215
The Object	215
The Attribute	218
Adverbial Modifiers	221
Personal and Impersonal Sentences	225
Impersonal Sentences	226
There is, there are	227
Sequence of Tenses	227
Direct and Indirect Speech	228
Conditional Sentences	233
Real Conditional Sentences	233
Unreal conditional Sentences	234
The Subjunctive Mood	235
Syntactical Complexes	241
The Complex Subject	241
The Complex Object	245
The Nominative Absolute Participle Construction	247
The Gerundial Construction	249
Schemes of Analysis	250
არაწესიერი ზმნების სამი ფორმა	260

Part Three. Exercises

Morphology	263
The Noun	263
The Article	265
The Pronoun	266

The Adjective	271
The Numeral	272
The Adverb	273
The Verb	274
ზოგადური ზმეები	276
Tenses: Active Voice	278
Indefinite Tense	278
Continuous Tense	284
Perfect Tense	287
Perfect Continuous Tense	290
Tenses (Passive Voice):	292
Indefinite Tense	292
Perfect Tense	293
Continuous Tense	294
The Verbs:	296
The Infinitive	296
The Gerund	301
The Participle	305
The Preposition and the Conjunction	310
Syntax	312
Declarative sentence	312
Interrogative sentence	312
The Subject	314
The Predicate	314
Agreement	315
The Object	315
The Attribute	316
Adverbial Modifiers	316
Future-in-the-Past Tense	316
Direct and Indirect Speech	318
The Conditional Sentences	321
The Subjunctive mood	322
დასასრული	323

PART ONE MORPHOLOGY

პირველი ნაწილი მორფოლოგია

Morphology studies the parts of speech and their grammatical categories expressed in the grammatical forms of words.

მორფოლოგია შეისწავლის მეტყველების ნაწილებს და მათ გრამატიკულ კატეგორიებს, რომლებიც გამოხატულია სიტყვის გრამატიკულ ფორმებში.

PARTS OF SPEECH

მეტყველების ნაწილები

These are the following parts of speech in English: the noun, the article, the adjective, the pronoun, the numeral, the verb, the adverb, the preposition, the conjunction, the particle, the interjection, the modal words, words of affirmation and negation.

ინგლისურში გვაქვს მეტყველების შემდეგი ნაწილები: არსებითი სახელი, არტიკლი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული, მოდალური სიტყვები, მიგებითი (დადასტურებითი და უარყოფითი) სიტყვები.

All parts of speech differ from each other in meaning, in form and in function. They may be divided into notional words, structural words and independent elements.

ყველა მეტყველების ნაწილი ერთმანეთისაგან განსხვავდება მნიშვნელობით, ფორმით და ფუნქციით. მეტყველების ნაწილები სამი სახისაა: სრულმნიშვნელოვანი სიტყვები, დამხმარე სიტყვები და დამოუკიდებელი ელემენტები.

1. *Notional* words (verbs, nouns, adjectives, numerals, pronouns and adverbs) have distinct lexical meaning and serve as independent parts of the sentence.

1. **სრულმნიშვნელოვანი** დამოუკიდებელი სიტყვებია: ზმნა, არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი და ზმნიზედა. სრულმნიშვნელოვანია ის სიტყვა, რომელსაც საკუთარი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს და წინადადების წევრობა შეუძლია.

2. *Structural* (form) words have no lexical meaning of their own.

2. **დამხმარე** (სტრუქტურული) სიტყვებია: არტიკლი, ნაწილაკი,

They serve as parts of the sentence. They may be:

a) *Connectors* (prepositions and conjunctions) serve to express various relations between words.

b) *Determiners* (articles and particles) serve to specify notional words.

3. *Independent elements* (modal words, interjections, words of affirmation and negation) are words which have no grammatical connection with the sentence. They can serve as sentences themselves.

THE NOUN

A Noun is a word which is the name of a thing.

A noun may be used to denote:

1. Living things (animates): people (a man), animals (a tiger), birds (a swallow), fish (a carp), insects (a beetle), reptiles (a snake).

2. Lifeless things (inanimates): things (a hat), abstract notions (love), plants (a rose), places (Tbilisi).

წინდებული და კავშირი. დამხმარეა ის სიტყვა, რომელსაც საკუთარი ლექსიკური მნიშვნელობა არა აქვს და წინადადების წევრობა არ შეუძლია. ისინი ორი სახისაა:

ა) მაკავშირებელი სიტყვები (წინდებული და კავშირი), რომლებიც გვიჩვენებენ წინადადების სიტყვებს შორის ურთიერთობას.

ბ) განმსაზღვრელი სიტყვები (არტიკლი და ნაწილაკი), რომლებიც სრულმნიშვნელოვან სახელებს განსაზღვრავენ.

დამოუკიდებელი ელემენტებია: მოდალური სიტყვები, შორისდებული, მიგებითი (დადასტურებითი და უარყოფითი) სიტყვები. ამ ელემენტებს არა აქვს გრამატიკული ურთიერთობა წინადადებასთან და თვითონ შეუძლიათ წინადადების წარმოქმნა (სიტყვა-წინადადება, ფრაზა-წინადადება).

არსებობითი სახელი

არსებითი სახელი საგნის აღმნიშვნელი სიტყვაა.

სიტყვა „საგანი“ აღნიშნავს:

1. სულიერ არსებით სახელებს: აღამიანთა (კაცი), ცხოველების (ვეფხვი), ფრინველების (მერცხალი), თევზების (კანარი), მწერების (ხოჭო), ქვეწარმავლების (გველი) სახელებს.

2. უსულო არსებით სახელებს: საგნებს (ქული), განყენებულ ცნებებს (სიყვარული), მცენარეებს (ვარდი), ადგილს (თბილისი).

Nouns are divided into: Proper Nouns and Common Nouns. These are the following kinds of Common Nouns: Concrete, Abstract, Material, Collective and Nouns of Multitude.

არსებითი სახელი შეიძლება იყოს: საკუთარი და საზოგადო. ინგლისურში გვაქვს შემდეგი სახის საზოგადო არსებითი სახელები: კონკრეტული, აბსტრაქტული, ნივთიერებათა, კრებითი და სიმრავლის გამომხატველი სახელები.

A Proper Noun is the name of a particular thing.

საკუთარია ის არსებითი სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს.

Proper nouns are always written with a capital letter at the beginning:

საკუთარი სახელები მუდამ ასომთავრულით იწყება:

Tbilisi თბილისი, David დავითი, Georgia საქართველო

A Common Noun is the name common to all things of the same kind:

საზოგადოა ის არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს მრავალ ერთნაირ საგანს:

boy ბიჭი, girl გოგო, town ქალაქი, river მდინარე

A Concrete Noun is the name of a thing that can be touched, felt, seen, etc.:

კონკრეტულია ის არსებითი სახელი, რომელსაც ვეხებით, ვგრძნობთ, ვხედავთ და ა.შ.:

Concrete Nouns show to what class a thing belongs:

კონკრეტული არსებითი სახელი გვიჩვენებს, თუ რომელ კლასს ეკუთვნის საგანი:

a city ქალაქი, a house სახლი, a lion ლომი

An Abstract Noun denotes some quality, state or action:

აბსტრაქტულია ის არსებითი სახელი, რომელიც გამოხატავს საგნის თვისებას, მდგომარეობას, მოქმედებას:

peace მშვიდობა, pleasure სიამოვნება, youth ახალგაზრდობა, movement მოძრაობა, love სიყვარული

A Material Noun denotes some particular kind of matter:

ნივთიერებათა სახელი აღნიშნავს რომელიმე განსაკუთრებულ ნივთიერებას:

iron რკინა, water წყალი, gold ოქრო

A Collective Noun denotes a number of similar things taken as one:

კრებიითა ის არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს, როგორც ერთ მთლიანს:

army არმია, flock ფარა, nation ერი

A Noun of Multitude denotes a number of similar things considered taken separately. Such nouns have no plural forms. The noun singular in form takes a plural verb:

სიმრავლის გამოხატველია ის არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს მსგავსი საგნების კრებულს ცალ-ცალკე. მათ არა აქვთ მრავლობითი რიცხვის ფორმა. ეს არსებითი სახელი ფორმით მხოლოდობითა. ეთანხმება ზმნას მრავლობით რიცხვში.

peasantry გლეხობა, gentry აზნაურობა, cattle საქონელი, people ხალხი, poultry შინაური ფრინველები, police პოლიცია და სხვ.

NUMBER

რიცხვი

There are two numbers in English: the Singular and the Plural.

ინგლისურში ორი რიცხვია: მხოლოდობითი და მრავლობითი.

When we speak about one thing, the noun is in the Singular:

როცა ერთ საგანზე ვლაპარაკობთ, არსებითი სახელი მხოლოდობით რიცხვშია:

book წიგნი, pen კალამი, pencil ფანქარი

When we speak about more than one thing, the noun is in the Plural:

როცა ერთზე მეტ საგანზე ვლაპარაკობთ, არსებითი სახელი მრავლობით რიცხვშია:

books წიგნები, pens კალმები, pencils ფანქრები

THE PLURAL OF NOUNS

არსებითი სახელის მრავლობითი

რიცხვი

The Plural of nouns is usually formed by adding -s to the noun in the Singular:

არსებითი სახელის მრავლობით რიცხვს ჩვეულებრივ ვაწარმოებთ მხოლოდობითი რიცხვის არსებითი სახელისაგან -s სუფიქსის დართვით:

Singular მხოლოდობითი
book - წიგნი
pen - კალამი
pencil - ფანქარი

Plural მრავლობითი
books - წიგნები
pens - კალმები
pencils - ფანქრები

Note 1: After voiceless consonants -s reads [s]:

შ ე ნ ი შ ე ნ ა ს: ხშული თანხმოვნების შემდეგ -s იკითხება როგორც [s]:

cats კატები, books წიგნები, lips ბაგეები, maps რუკები

Note 2: After voiced consonants and vowels -s reads [z]:

შ ე ნ ი შ ე ნ ა ზ: მკლერი თანხმოვნებისა და ხმოვნების შემდეგ -s იკითხება როგორც [z]:

dogs ძაღლები, hands ხელები, walls კედლები, shoes ფეხსაცმელები

If the noun in the Singular ends in *s, ss, x, z, sh* or *ch*, the plural is formed by adding *-es* to the singular, which reads [iz]:

თუ არსებითი სახელი მხოლოდობით რიცხვში ბოლოვდება *s, ss, x, z, sh* ან *ch*-ზე, მრავლობითი რიცხვი იწარმოება მხოლოდობითი რიცხვის არსებითი სახელებისაგან -*es* სუფიქსის დართვით, რომელიც იკითხება როგორც [iz]:

Singular მხოლოდობითი
box [bɒks] - ყუთი
class [kla:s] - კლასი
brush [brʌʃ] - ჯაგრისი
bench [bentʃ] - სკამი
bus [bʌs] - ავტობუსი

Plural მრავლობითი
boxes ['bɒksɪz] - ყუთები
classes [kla:sɪz] - კლასები
brushes ['brʌʃɪz] - ჯაგრისები
benches [bentʃɪz] - სკამები
buses ['bʌsɪz] - ავტობუსები

If the noun ends in *-y* and *-y* is preceded by a consonant, in the Plural this *-y* changes into *-i* and *-es* is added:

თუ არსებითი სახელი ბოლოვდება *y*-ზე და *y*-ის წინ უძღვის თანხმოვანი, მრავლობით რიცხვში *y* შეიცვლება *i*-თ, რის შემდეგ მას დაერთვის *es*:

Singular მხოლოდობითი
army - არმია
country - ქვეყანა

Plural მრავლობითი
armies - არმიები
countries - ქვეყნები

If the noun ends in *-y* and *-y* is preceded by a vowel, the Plural is formed by adding *-s* to the noun in the Singular:

თუ არსებითი სახელი ბოლოვდება *y*-ზე და *y*-ის წინ უძღვის ხმოვანი, მრავლობით რიცხვში მას *-s* დაერთვის:

Singular მხოლოდობითი
boy - ბიჭი
day - დღე

Some nouns form the Plural by changing the root-vowel:

Singular მხოლოდობითი
man [mæn] - კაცი
woman [ˈwʊmən] - ქალი
tooth [tu:θ] - კბილი
foot [fʊt] - ფეხი
mouse [maʊs] - თაგვი
goose [gu:s] - ბატყი
louse [laʊs] - ტილი

Some nouns form the Plural by adding *-en* to the Singular:

Singular მხოლოდობითი
ox [ɒks] - ხარი
child [tʃaɪld] - ბავშვი

If the noun ends in *-o* and *-o* is preceded by a consonant, the Plural is formed by adding *-es* to the Singular:

Singular (მხოლოდობითი)
potato [pəˈteɪtəʊ] - კარტოფილი
tomahto [təˈmɑ:təʊ] - პომიდორი
cargo [kɑ:gəʊ] - ტვირთი

Plural მრავლობითი
boys - ბიჭები
days - დღეები

ზოგი არსებითი სახელი მრავლობით რიცხვს აწარმოებს ფუძისეული ხმოვნის შეცვლით:

Plural მრავლობითი
men [men] - კაცები
women [ˈwɪmɪn] - ქალები
teeth [ti:θ] - კბილები
feet [fi:t] - ფეხები
mice [maɪs] - თაგვები
geese [gi:s] - ბატყები
lice [laɪs] - ტილები

ზოგი არსებითი სახელი მრავლობით რიცხვს აწარმოებს მხოლოდობითი რიცხვის არსებითი სახელებისაგან *-en* სუფიქსის დართვით:

Plural მრავლობითი
oxen [ɒksən] - ხარები
children [tʃɪldrən] - ბავშვები

თუ არსებითი სახელი ბოლოვდება *o-ზე* და *o-ს* წინ უძღვის თანხმოვანი, მაშინ მრავლობითი რიცხვი იწარმოება მხოლოდობითი რიცხვის არსებითი სახელებისაგან *-es* სუფიქსის დართვით:

Plural (მრავლობითი)
potatoes [pəˈteɪtəʊz] - კარტოფილები
tomatoes [təˈmɑ:təʊz] - პომიდვრები
cargoes [kɑ:gəʊz] - ტვირთი

Exceptions:

piano [pɪænoʊ] - ფორტეპიანო

canto [kæntoʊ] - სიმღერა (პოემის ნაწილი)

solo [ˈsɒloʊ] - სოლო

If the noun ends in *o* and *o* is preceded by a vowel, the Plural is formed by adding *-s* to the singular:

Singular

portfolio [pɔ:ˈfoʊljou] პორტფელი

If the noun ends in *-f* or *-fe*, in the Plural *-f* and *-fe* are changed into *-ves* which reads [vz]:

Singular მხოლოდითი

wife [waɪf] - ცოლი

knife [naɪf] - დანა

life [laɪf] - ცხოვრება

leaf [li:f] - ფოთოლი

calf [kɑ:f] - ხბო

half [hɑ:f] - ნახევარი

shelf [ʃɛlf] - თარო

wolf [wʊlf] - მგელი

Exceptions:

1. Some nouns ending in *-f* form the Plural by adding *-s*:

Singular მხოლოდითი

chief [tʃi:f] - უფროსი

roof [ru:f] - სახურავი

hoof [hu:f] - ჩლიქი

2. Some nouns ending in *-fe* form the plural by adding *-s*:

გამონაკლისები:

pianos [pɪænoʊz] - ფორტეპიანოები

cantos [ˈkæntoʊz] - სიმღერები

solos [ˈsɒloʊz] - სოლო(ები)

თუ არსებითი სახელი ბოლოვდება *o*-ზე და *o*-ს წინ უძღვის ხმოვანი, მრავლობითი რიცხვი იწარმოება მხოლოდითი რიცხვის არსებითი სახელებისაგან *-s* სუფიქსის დართვით:

Plural

portfolios [pɔ:ˈfoʊljɔʊz] პორტფელები

თუ არსებითი სახელი ბოლოვდება *f*-ზე ან *fe*-ზე, მრავლობით რიცხვში *-f* და *-fe* შეიცვლება *ves*-ით, რომელიც იკითხება როგორც [vz]:

Plural მრავლობითი

wives [waɪvz] - ცოლები

knives [naɪvz] - დანები

lives [laɪvz] - ცხოვრება

leaves [li:vz] - ფოთლები

calves [kɑ:vz] - ხბოები

halves [hɑ:vz] - ნახევრები

shelves [ʃɛlvz] - თაროები

wolves [wʊlvz] - მგლები

გამონაკლისები:

1. *f*-ზე დაბოლოებული ზოგი არსებითი სახელი მრავლობით რიცხვს აწარმოებს *-s* სუფიქსის დართვით:

Plural მრავლობითი

chiefs [tʃi:fs] - უფროსები

roofs [ru:fs] - სახურავები

hoofs [hu:fs] - ჩლიქები

2. *fe*-ზე დაბოლოებული ზოგი არსებითი სახელი მრავლობით რიცხვს აწარმოებს *-s* სუფიქსის დართვით:

Singular მხოლოდობითი
safe [seif] - სეიფი
five [faif] - ფლეიჭა

Plural მრავლობითი
safes [seifs] - სეიფები
fives [faifs] - ფლეიჭები

Plural of Compound Nouns

შედგენილ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვი

A Compound Noun forms the Plural by adding -s to the principal word:

შედგენილი არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას -s სუფიქსი დაერთვის მთავარ სიტყვას:

Singular მხოლოდობითი

Father-in-law - სიმამრი, მამამთილი

Mother-in-law - სიდედრი, დედამთილი

Son-in-law - სიძე

Daughter-in-law - რძალი

Step-son - გერი (ვაჟი)

Step-daughter - გერი (გოგონა)

Maid-servant - მოსამსახურე (ქალი)

Plural მრავლობითი

Fathers-in-law - სიმამრები, მამამთილები

Mothers-in-law - სიდედრები, დედამთილები

Sons-in-law - სიძეები

Daughters-in-law - რძლები

Step-sons - გერები (ვაჟები)

Step-daughters გერები (ქალები)

Maid-servants - მოსამსახურე ქალები

Compound Nouns ending in *-man*, change *-man* into *men* in the Plural:

შედგენილი არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდებიან *man*-ზე, მრავლობით რიცხვში *man*-ის ნაცვლად *men*-ს დაირთავენ:

Singular მხოლოდობითი

sportsman - სპორტსმენი

workman - მუშა

Frenchman - ფრანგი (კაცი)

Englishman - ინგლისელი (კაცი)

Plural მრავლობითი

sportsmen - სპორტსმენები

workmen - მუშები

Frenchmen - ფრანგი კაცები

Englishmen - ინგლისელი კაცები

Note: The words *German, Roman, Norman* form the plural by adding *-s* because they are not Compound Nouns:

If Compound nouns begin with the words *man* or *woman*, both elements form the plural:

Singular მხოლოდითი
man-servant მოსამსახურე კაცი
man-writer მწერალი კაცი
woman-servant მოსამსახურე ქალი
woman-writer მწერალი ქალი

Plural მრავლობითი
men-servants მოსამსახურე კაცები
men-writers მწერალი კაცები
women-servants მოსამსახურე ქალები
women-writers მწერალი ქალები

Some Nouns have the same form for both Singular and Plural:

Singular მხოლოდითი
deer [di:ə] ირემი
sheep [ʃi:p] ცხვარი
fish [fɪʃ] თევზი
trout [traut] კალმახი

The following nouns have both singular and plural:

Family crew
group class

My family is here.
The two families are abroad.

შენიშვნა: სიტყვები *German, Roman, Norman* მრავლობით რიცხვს აწარმოებენ *-s* სუფიქსის დართვით, რადგან ისინი არ არიან შედგენილი არსებითი სახელები:

თუ შედგენილი არსებითი სახელები იწყება სიტყვებით *man, woman*, შედგენილი არსებითი სახელის ორივე სიტყვა აწარმოებს მრავლობით რიცხვს:

ზოგ არსებით სახელს მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში ერთი და იგივე ფორმა აქვს:

Plural მრავლობითი
deer [di:ə] ირმები
sheep [ʃi:p] ცხვრები
fish [fɪʃ] თევზები
trout [traut] კალმახები

ზოგიერთ არსებით სახელს აქვს ორივე, მხოლოდობითი და მრავლობითი ფორმა:

Family crew
group class

ჩემი ოჯახი აქ არის.
ორივე ოჯახი საზღვარგარეთაა.

The same nouns, but singular in form, may be used in a singular and in a plural sense:

My family is in the country now.
My family are asleep (the members).

Note 1: When used as Collective nouns they agree with the verb in the singular.

When used as nouns of Multitude they agree with the verb in the plural.

Note 2: Some nouns, Singular in form, are used only in a plural sense and agree with the verb in the plural (they are used only as nouns of Multitude):

- The poultry are here. (poultry - შინაური ფრინველები)
- The cattle are grazing in the field. (cattle - მსხვილფეხა პირუტყვი)
- There are many people in the room. (people - ხალხი)

Note 3: When *people* is used in the sense of nation the Plural is *peoples*:

The peoples of the world are fighting for peace.
მსოფლიოს ხალხები იბრძვიან მშვიდობისათვის.

Some nouns have only the Plural form:

- trousers [ˈtraʊzəz] შარვალი
- scales [skeɪlz] სასწორი
- lungs [lʌŋz] ფილტვები
- pincers [ˈpɪnsəz] მარწუხი
- ashes [ˈæʃɪz] ფერფლი
- contents [ˈkɒntents] შინაარსი
- remains [rɪˈmeɪnz] ნარჩენი
- tidings [ˈtaɪdɪŋz] ცნობები
- billiards [ˈbɪljɑːdz] ბილიარდი

იგივე არსებითი სახელები (ფორმით მხოლოდითი) იხმარება როგორც მხოლოდითში, ისევე მრავლობითში:

ჩემი ოჯახი ახლა სოფელშია.
ჩემს ოჯახს (წევრებს) სძინავს.

შენი შენაძ: თუ კრებით არსებით სახელად იხმარება, ზმნას ეთანხმება მხოლოდით რიცხვში.

თუ სიმრავლის გამომხატველ სახელად იხმარება, ზმნას ეთანხმება მრავლობით რიცხვში.

შენი შენაჲ: ზოგი არსებითი სახელი (ფორმით მხოლოდითი) იხმარება მხოლოდ მრავლობითის მნიშვნელობით და ეთანხმება ზმნას მრავლობით რიცხვში. ისინი იხმარება როგორც სიმრავლის გამომხატველი სახელები.

შენი შენაჳ: როცა *people* იხმარება "ერის" მნიშვნელობით, მაშინ მისი მრავლობითია *peoples*:

ზოგ არსებით სახელს აქვს მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმა:

- scissors [ˈsɪzəz] მაკრატელი
- spectacles [ˈspektəklz] სათვალე
- goods [ɡʊdz] საქონელი
- oats [oʊts] შვრია
- arms [ɑːmz] იარაღი
- clothes [klaʊðz] ტანსაცმელი
- customs [ˈkʌstəmz] საბაჟო
- riches [ˈrɪtʃɪz] სიმდიდრე
- wages [ˈweɪdʒɪz] ხელფასი

Some nouns have one meaning in the Singular and another in the Plural:

Singular მხოლოდითი
advice [əd'vaɪs] რჩევა
force [fɔ:s] ენერჯია

ზოგიერთ არსებით სახელს მხოლოდითსა და მრავლობით რიცხვში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს:

Plural მრავლობითი
advices [əd'vaɪsɪz] - ინფორმაცია
forces [fɔ:sɪz] - არმია, ჯარი

Some nouns are used only in the Singular:

ზოგიერთ არსებით სახელს მხოლოდ მხოლოდითი რიცხვის ფორმა აქვს:

news [nju:s] ახალი ამბავი
progress [ˈprɒɡres] პროგრესი, განვითარება
business [ˈbɪznɪs] საქმე
knowledge [ˈnɒlɪdʒ] ცოდნა
information [ɪnfə'meɪʃn] ინფორმაცია
strength [streŋθ] ძალა
furniture [ˈfɜ:nɪtʃə] ავეჯი
music [ˈmju:zɪk] მუსიკა
mathematics [mæθɪ'mætiks] მათემატიკა
physics [ˈfɪzɪks] ფიზიკა
money [ˈmʌni] ფული
e.g. This *news* is very important.

Some nouns of Greek and Latin origin keep their own Plural forms in spelling:

ბერძნული და ლათინური წარმოშობის ზოგიერთი არსებითი სახელი დამწერლობაში ინარჩუნებს თავისი საკუთარი მრავლობითი რიცხვის ფორმას.

Latin words - ლათინური სიტყვები

Singular (მხოლოდითი)
stimulus [ˈstɪmjʊləs] სტიმული
radius [ˈreɪdiəs] რადიუსი
datum [ˈdeɪtəm] მონაცემი
erratum [ɪ'reɪtəm] შეცდომა
formula [ˈfɔ:mjʊlə] ფორმულა
antenna [æn'teɪnə] ანტენა

Plural (მრავლობითი)
stimuli [ˈstɪmjʊləɪ] სტიმულები
radii [ˈreɪdiəɪ] რადიუსები
data [ˈdeɪtə] მონაცემები
errata [ɪ'reɪtə] შეცდომები
formulae [ˈfɔ:mjʊləɪ] ფორმულები
antennae [æn'teɪnəɪ] ანტენები

Greek words - ბერძნული სიტყვები

Singular (მხოლოდითი)	Plural (მრავლობითი)
phenomenon [fi'nomion] მოვლენა	phenomena [fi'nomia] მოვლენები
criterion [krai'taion] კრიტერიუმი	criteria [krai'taia] კრიტერიუმი
crisis [ˈkraɪsɪs] კრიზისი	crises [ˈkraɪsɪz] კრიზისები
ellipsis [ɪlɪpsɪs] ელიფსი	ellipses [ɪˈlɪpsɪz] ელიფსები
thesis [θiːsɪs] თხზულება	theses [θiːsɪz] თხზულებები
Some nouns have two different Plural forms, each with a different meaning:	ზოგ არსებით სახელს მრავლობითი რიცხვის ორი ფორმა აქვს, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება:

ძმა Brother	{	brothers [ˈbrʌðəz] - ძმები (ერთი დედ-მამის შვილები) brethren [ˈbrɛðrɪn] - ძმები (ერთი საზოგადოების წევრები)
ქსოვილი Cloth	{	clothes [klaʊðz] - ტანსაცმელი cloths [kloːθs] - მაუდი
პენი penny	{	pennies [ˈpenɪz] - რამდენიმე ცალკეული მონეტა - თითო 1 პენისის ღირებულების pence [pens] - რამდენიმე პენისის ღირებულების 1 მონეტა
გენიოსი Genius	{	geniuses [ˈdʒiːnjəsɪz] - გენიოსები genii [ˈdʒiːniə] - დემონები, სულები

Countables and Uncountables

თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები

Common Nouns may be countable and uncountable.

საზოგადო არსებითი სახელები იყოფა თვლად და უთვლად არსებით სახელებად.

A Countable noun is the name of anything that can be counted:

თვლადი არსებითი სახელი ისეთ საგანს აღნიშნავს, რომელიც ცალკეობით ითვლება:

a cat-კატა, two cats-ორი კატა, a pen-კალამი, three pens-სამი კალამი

an uncountable noun is the name of anything that cannot be counted. Material and Abstract nouns are uncountables:

უთვლადი არსებითი სახელი ისეთ საგანს აღნიშნავს, რომელიც ცალკეობით არ ითვლება. უთვლად არსებით სახელებს განეკუთვნება ნივთიერებათა აღმნიშვნელი სახელები და განყენებული არსებითი სახელები:

sugar - შაქარი, water - წყალი, love - სიყვარული, gold - ოქრო, friendship - მეგობრობა, happiness - ბედნიერება და სხვ.

Note: Though abstract nouns are usually uncountables some of them may be countables e.g.: day, summer, time, idea, hour, thunder, etc.

შენიშვნა: განყენებული არსებითი სახელები საერთოდ უთვლადია, მაგრამ ზოგი მათგანი თვლადია: დღე, ზაფხული, დრო, იდეა, საათი, ქუხილი და სხვ.

Countables have both singular and plural numbers:

თვლად არსებით სახელს აქვს მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმა:

a cat - cats
the cat - the cats

კატა - ბევრი კატა
კატა - კატები

Uncountable are used in the singular. They have no plural form:

უთვლად არსებით სახელს აქვს მარტო მხოლოდობითი რიცხვის ფორმა:

Air - much air ჰაერი - ბევრი ჰაერი milk - much milk რძე - ბევრი რძე

Note 1: The Indefinite pronouns *some, any, no*, are often used before uncountables:

შენიშვნა 1: განუსაზღვრელი ნაცვალსახელები *some, any, no* ხშირად იხმარება უთვლადი არსებითი სახელის წინ:

Give me some bread.
Have you any bread?
I have no bread.

პური მომეცი.
გაქვს პური?
მე არა მაქვს პური.

Note 2: The same noun may be a Countable or Uncountable according to the sense (change of number of the noun taking place):

შენიშვნა 2: ერთი და იგივე არსებითი სახელი შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს თვლადი და უთვლადი (ერთდროულად ხდება ცვლილება არსებითი სახელის რიცხვში).

Uncountables regarded as Countables

Some uncountables treated as countables are used both in the singular and in the plural:

1. When material nouns (uncountables such as tea, wine, honey, coffee, etc) express different sorts:

This *wine* is sour.

Georgian *wines* especially Khvanchkara, Kindzmarauli, Odjaleshi are very tasty.

2. When the names of materials are also the names of objects made of these materials. Here there is a change in lexical meaning:

Glass breaks easily. მინა ტყდება ადვილად.

Iron is a metal. რკინა ლითონია.

Water turns into *ice*. წყალი იქცევა ყინულად.

3. When the noun fish and fruit denote different kinds:

Different fresh-water fishes.

Many *fruits* ripen now: apples, pears, plums.

4. When the noun hair denotes a few separate hairs:

This dog has too much *hair*.

უთვლადი როგორც თვლადი არსებითი სახელი

ზოგიერთი უთვლადი არსებითი სახელი, რომელიც განიხილება როგორც თვლადი, იხმარება მხოლოდ ერთსა და მრავლობითში:

1. როდესაც ნივთიერებათა გამომხატველი არსებითი სახელები (ჩაი, ღვინო, თაფლი, ყავა და სხვ.) გამოხატავენ სხვადასხვა ხარისხს:

ეს ღვინო მჟავეა.

ქართული ღვინო, განსაკუთრებით ხვანჭკარა, კინძმარაული და ოჯალეში, ძალიან გემრიელია.

2. როდესაც ნივთიერებათა გამომხატველი არსებითი სახელი აღნიშნავს საგანს, რომელიც იმ ნივთიერებისაგანაა გაკეთებული; აქ ხდება ცვლილება არსებითი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში:

Bring me two *glasses* of wine. მომაწოდეთ ორი ჭიქა ღვინო.

There are many *irons* at the tailor's. სამკერვალოში ბევრი უთოა.

Children like cream *ices*. ბავშვებს უყვართ ნაყინი.

3. როცა მხედველობაშია თევზების და ხილის ნაირსახეობა, არსებით სახელებს *fish* და *fruit* აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა:

მტკნარი წყლის სხვადასხვა თევზები.

ბევრი ხილი მწიფდება ახლა: - ვაშლი, მსხალი, ქლიაფი.

4. როცა არსებითი სახელი *hair* (თმა) იხმარება ცალკეული თმის მნიშვნელობით:

ამ ძალღს ბევრი ბეწვი აქვს.

She picked up two (some) *hairs* off the collar.

5. When abstract nouns express concrete instances or objects:

I wish you *joy*!

The joys of *childhood*.

She is a real *beauty*.

There were many *beauties* at the ball.

Countables regarded as Uncountables

Some countables treated as uncountables are used only in the singular:

1. When the names of *trees* express kinds of wood as material:

An old *oak* grew near my house.

The cupboard was made of *oak*.

2. When the names of animals are used to denote their flesh (as food):

Father has bought a *turkey*.

We had *turkey* for dinner.

GENDER

There is no grammatical gender in the English language. Difference in gender coincides with difference in sex.

მან აიღო ორი თმა საყელოდან.

5. როცა აბსტრაქტული სახელი აღნიშნავს კონკრეტულ ფაქტს ან საგანს:

ვისურვებ სიხარულს!

ბავშვობის სიხარული.

ის ნამდვილად ლამაზია.

მეჯლისზე იყო ბევრი ლამაზი ქალი

თვლადი როგორც უთვლადი არსებობითი სახელი

ზოგი თვლადი, რომელიც განიხილება როგორც უთვლადი არსებითი სახელი, იხმარება მარტო მხოლოდობითში:

1. როცა არსებითი სახელი იხმარება ხის სახელწოდებასთან როგორც მასალის ნაირსახეობის მაჩვენებელი:

ძველი მუხა (ხე) იზრდება ჩემს ბაღში.

ქურქლის კარადა გაკეთებულია მუხისაგან.

2. როცა არსებითი სახელი აღნიშნავს ცხოველების ხორცს როგორც საკვებს:

მამაჩემმა იყიდა ინდაური.

ჩვენ სადილზე ინდაური გვექონდა.

სქესი

ინგლისურ ენაში გრამატიკული სქესი არ არსებობს; არსებით სახელთა სქესი განისაზღვრება თვით არსებით სახელთა შინაარსით.

Lexically there are three genders in English: Masculine, Feminine and Neuter.

a) Masculine: a noun is of the Masculine gender when it is the name of a male person or animal:

boy (ბიჭი), son (ვაჟიშვილი), father (მამა), bull (ხარი), cock (მამალი)

b) Feminine: a noun is of the Feminine gender when it is the name of a female person or animal:

daughter (ქალიშვილი), mother (დედა), sister (და), cow (ძროხა), hen (ქათამი - დედალი)

c) Neuter: a noun is of the Neuter gender when it is the name of a thing without life:

book (წიგნი), table (მაგიდა), pencil (ფანქარი)

There are three ways of distinguishing the Feminine from the Masculine:

1. By a different word:

Masculine (მამრობითი)

father - მამა

grandfather - პაპა, ბაბუა

brother - ძმა

boy - ბიჭი

husband - ქმარი

man - კაცი

uncle - ბიძა

son - ვაჟიშვილი

cock - მამალი

bull, ox - ხარი

ram - ცხვარი (მამალი, ვერძი)

dog - ძაღლი (ხვადი)

ლექსიკურად ინგლისურში სამი სქესია: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო.

ა) მამრობითი: არსებითი სახელი მამრობითია, როცა ის აღნიშნავს მამრობითი სქესის ადამიანს ან ცხოველს:

ბ) მდედრობითი: არსებითი სახელი მდედრობითია, როცა ის აღნიშნავს მდედრობითი სქესის ადამიანს ან ცხოველს.

გ) საშუალო: არსებითი სახელი საშუალო სქესისაა, როცა ის აღნიშნავს უსულო საგანს.

მდედრობით სქესს მამრობითისაგან ანსხვავებენ სამნაირად:

1. სიტყვის დაპირისპირებით:

Feminine (მდედრობითი)

mother - დედა

grandmother - დიდედა, ბებია

sister - და

girl - გოგო

wife - ცოლი

woman - ქალი

aunt - დეიდა

daughter - ქალიშვილი

hen - ქათამი

cow - ძროხა

ewe - ცხვარი (დედალი, ნერბი)

bitch - ძაღლი (ძუ)

2. By adding a word:
 Masculine (მამრობითი)
 man-servant - მოსამსახურე (კაცი)
 billy-goat - თხა (მამალი)
 Tom-cat - კატა (მამალი)
 he-bear - დათვი (მამალი)
 bull-calf - მოზეერი

3. By a suffix to show 'the feminine gender (-ess, -ine):

Masculine მამრობითი
 actor მსახიობი (კაცი)
 author ავტორი (კაცი)
 Jew ებრაელი (კაცი)
 lion ლომი (ხვალი)
 poet პოეტი (კაცი)
 shepherd მწყემსი (კაცი)
 heir მემკვიდრე (კაცი)
 director დირექტორი (კაცი)
 Negro ზანგი (კაცი)
 tiger ვეფხვი (ხვალი)
 hero გმირი (კაცი)

When things without life and abstract notions are personified, they belong either to the Feminine or to the Masculine gender:

Masculine მამრობითი

Mountains - მთები, the Ocean - ოკეანე, Storm - ქარიშხალი, the Sun - მზე, Summer - ზაფხული, Autumn - შემოდგომა, Winter - ზამთარი, Love - სიყვარული, Fear - შიში, Anger - ბრაზი, Death - სიკვდილი, War - ომი, Time - დრო, Day - დღე, Sleep - ძილი და ა.შ.

Feminine მდედრობითი

Nature - ბუნება, the Earth - დედამიწა, the Moon - მთვარე, the Mother Country - სამშობლო, Countries - ქვეყნები, Universities - უნივერსიტეტები, Ship - გემი, Boat - ნავი, Cities - ქალაქები, Spring - გა-

2. სიტყვის დამატებით:
 Feminine (მდედრობითი)
 maid-servant - მოსამსახურე (ქალი)
 nanny-goat - თხა (დედალი)
 Tib cat - კატა (დედალი)
 she-bear - დათვი (დედალი)
 cow-calf - დეკეული

3. მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი დაბოლოებით (-ess, -ine):

Feminine მდედრობითი
 actress მსახიობი (ქალი)
 authoress ავტორი (ქალი)
 Jewess ებრაელი (ქალი)
 lioness ლომი (ძუ)
 poetess პოეტი (ქალი)
 shepherdess მწყემსი (ქალი)
 heiress მემკვიდრე (ქალი)
 directress დირექტორი (ქალი)
 Negress ზანგი (ქალი)
 tigress ვეფხვი (ძუ)
 heroine გმირი (ქალი)

გაპიროვნებისას უსულო და აბსტრაქტულ არსებით სახელებს ენიჭება მდედრობითი ან მამრობითი სქესი:

ზაფხული, Hope - იმედი, Night - ღამე, Morning - დილა, Charity - მოწყალება, Justice - სამართლიანობა, Sciences - მეცნიერებანი, Liberty - თავისუფლება, Peace - მშვიდობა, Kindness - სიკეთე, Jealousy - ეჭვი და ა.შ.

CASE

ბრუნვა

There are two cases in modern English: Common and Possessive.

თანამედროვე ინგლისურში ორი ბრუნვაა: საერთო და კუთვნილებითი.

The Common Case

საერთო ბრუნვა

A noun in the Common Case is used as any part of the sentence:

არსებითი სახელი საერთო ბრუნვაში შეიძლება იყოს წინადადების ნებისმიერი წევრი:

1. A noun in the Common Case is used as Subject:

1. არსებითი სახელი საერთო ბრუნვაში იხმარება როგორც ქვემდებარე:

The book is on the table.

2. A noun in the Common Case is used as Predicative:

2. არსებითი სახელი საერთო ბრუნვაში იხმარება როგორც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი:

George is a schoolboy.

3. A noun in the Common Case is used as Object (direct and indirect):

3. არსებითი სახელი საერთო ბრუნვაში იხმარება როგორც დამატება (პირდაპირი ან ირიბი):

I see my pupils every day. (direct object - პირდაპირი დამატება)
I give my pupils lessons. (indirect object - ირიბი დამატება)

4. A noun in the Common Case is used as an adverbial modifier:

4. არსებითი სახელი საერთო ბრუნვაში იხმარება როგორც გარემოება:

They live in Batumi.

The Possessive Case

A noun is in the Possessive Case when it points out the owner:

კუთვნილებითი ბრუნვა
არსებითი სახელი კუთვნილებით
ბრუნვაშია, როცა საგნის მფლო-
ბელზე მიუთითებს:

David's books - დავითის წიგნები

The Possessive Case is formed by adding -'s (apostrophe s) to the noun.

კუთვნილებითი ბრუნვა იწარმო-
ება არსებით სახელზე 's-ის დართ-
ვით. ეს სუფიქსი გამოითქმება:

This suffix is pronounced:

a) [s] after voiceless consonants:

ა) [s] ხშული თანხმოვნების შე-
მდეგ:

scientist's ['saɪntɪsts]

b) [z] after voiced consonants and vowels:

ბ) [z] მკლერი თანხმოვნებისა და
ხმოვნების შემდეგ:

man's [mænz] negro's ['ni:grouz]

c) [ɪz] after the sounds [s, z, ʃ, ʒ, ɪʃ, dʒ]:

გ) [ɪz] - [s, z, ʃ, ʒ, ɪʃ, dʒ] ბგე-
რების შემდეგ:

James' ['dʒeɪmzɪz] George's ['dʒɔ:dzɪz]

Note 1: The suffix 's is added:

შ ე ნ ი შ ე ნ ა 1 : სუფიქსი 's ემატება:

a) To nouns in the singular:

ა) არსებით სახელებს მხოლოდით
რიცხვში:

the student's room სტუდენტის ოთახი

the worker's house მუშის სახლი

b) To those nouns in the plural which do not form their plural by adding the ending -s:

ბ) იმ არსებით სახელებს მრავლობით
რიცხვში, რომლებიც მრავლობით
რიცხვს არ აწარმოებენ, კუთვნილე-
ბით: ა-ის დამატე-
ბით:

Children's ბავშვების men's კაცების

Note 2: To those nouns which form the plural by adding -s only (apostrophe) is added in the Possessive Case:

შ ე ნ ი შ ე ნ ა 2 : იმ არსებით სახე-
ლებს, რომლებიც მრავლობით რიცხვს ა-
ის დამატებით აწარმოებენ, კუთვნილე-
ბით ბრუნვაში ემატებათ მხოლოდ '
(აპოსტროფი):

The students' room სტუდენტების ოთახი

(comp. The worker's house შდრ. მუშის სასლი)

Note 3: When a proper name ends in -s only (apostrophe) is added to it in the Possessive case: შენი შენაჲ: როცა საკუთარი სახელი -ით ბოლოვდება, კუთვნილებით ბრუნვაში მას მხოლოდ '(აპოსტროფი) ემატება:

Burns' poems ['ba:nsɪz] ბერნსის ლექსები
Wells' works ['welsɪz] უელსის თხზულებები

Note 4: When a compound noun, a noun with an apposition or a whole group of words is in the Possessive Case (apostrophe) is added at the end: შენი შენაჲ: რთულ არსებით სახელს, არსებით სახელს თავისი დანართით და სიტყვათა მთელ ჯგუფს კუთვნილებით ბრუნვაში '(აპოსტროფი) ბოლოში ემატება:

The editor-in-chief's order - მთავარი რედაქტორის ბრძანება.
He was told of his brother David's arrival - მას უთხრეს მისი ძმის დავითის ჩამოსვლის შესახებ.
Peace is the working-people's appeal - მშვიდობა მშრომელი ხალხის მოწოდებაა.

Note 5: If two or more persons possess something in common or are the authors of one work, 's (apostrophe s) is added only to the last noun: შენი შენაჲ: თუ ორი ან მეტი პიროვნება ერთად ფლობს რაიმეს, ან თუ ისინი ერთი შრომის ავტორები არიან, კუთვნილებითი ბრუნვის სუფიქსი 's მხოლოდ ბოლო არსებით სახელს ემატება:

Mary and Ann's room - მერის და ანას ოთახი
(*But: Byron's and Shelley's poems* მაგრამ: ბაირონის და შელის პოემები)

The Use of the Possessive Case

კუთვნილებითი ბრუნვის გამოყენება

The Possessive Case is used with nouns denoting living beings:

კუთვნილებითი ბრუნვა იხმარება სულიერი საგნების აღმნიშვნელ არსებით სახელებთან:

David's toys - დავითის სათამაშოები
A bird's feathers - ჩიტის ფრთები
A horse's head - ცხენის თავი

With nouns denoting things without life, we use the Possessive Case equivalent of *of+Common Case*, or *of-phrase*:

უსულო საგნების აღმნიშვნელ არსებით სახელებთან ვხმარობთ კუთვნილებითი ბრუნვის ეკვივალენტს „of+საერთო ბრუნვა“ (ანუ of-ფრაზა):

The leg of a table - მაგიდის ფეხი
(*Comp. A boy's leg* შდრ. ბიჭის ფეხი)

Note: The *of*-phrase may be used with nouns denoting living beings as well:

შენი შენა: of ფრაზა შეიძლება ვიხმაროთ აგრეთვე სულიერი საგნების აღმნიშვნელ სახელთან:

The mother of the boy has come (=The boy's mother has come).

The Possessive Case may be used with some nouns which express things without life.

კუთვნილებითი ბრუნვა შეიძლება ვიხმაროთ ზოგიერთ არსებით სახელებთან, რომლებიც უსულო საგნებს აღნიშნავენ.

These nouns are:

ეს შემდეგი არსებითი სახელებია:

1. Nouns which express time, space or weight:

1. არსებითი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ დროს, სივრცეს ან წონას:

- | | | |
|--------|---|---|
| time | { | A month's leave ერთი თვის შვებულება |
| | | Three days' work სამი დღის სამუშაო |
| space | { | Five miles' distance ხუთი მილის მანძილი |
| weight | { | A ton's weight ერთი ტონა წონის |

2. The nouns sun, moon, earth:

2. არსებითი სახელები - მზე, მთვარე, დედამიწა.

The sun's rays მზის სხივები
The moon's shadow მთვარის ჩრდილი
The earth's axis დედამიწის ღერძი

3. The names of countries:

3. ქვეყნების სახელწოდება:

Shota Rustaveli is Georgia's greatest poet.
შოთა რუსთაველი საქართველოს უდიდესი პოეტია.

4. Names of seasons, months and days:

4. წლის დროთა, თვეების და დღეების სახელწოდებები:

Winter's frost ზამთრის ყინვა
August's heat აგვისტოს სიცხე
Sunday's rest კვირადღის დასვენება

5. Nouns world, nature, ocean, town, ship, boat, truth, music.

5. არსებითი სახელები - მსოფლიო, ბუნება, ოკეანე, ქალაქი, გემი, ნავი, სიმართლე, მუსიკა:

The world's greatest war
Nature's forces
The ocean's depth
The town's streets
Truth's triumph
Musie's voice
The ship's crew
The boat's length

მსოფლიოს უდიდესი ომი.
 ბუნების ძალები
 ოკეანის სიღრმე
 ქალაქის ქუჩები
 სიმართლის ზეიმი
 მუსიკის ხმა
 გემის ეკიპაჟი
 ნავის სიგრძე

6. Nouns denoting newspapers:
 airplanes, cars, ships:

What is your car's number?

6. გემების, თვითმფრინავების და ავტომობილების, გაზეთების აღმნიშვნელი სახელები:

რა ნომერია თქვენი ავტომობილი?

7. Some adverbs: *today, yesterday, tomorrow, tonight ...*

7. ზოგი ზმნიზედა: today, yesterday, tomorrow, tonight...

Have you read *yesterday's* newspaper? გუშინდელი გაზეთი წაიკითხეთ?

Note : The words *house, shop, office* are often omitted after nouns in the possessive case in prepositional phrases:

I dine at my mother's (house).
 She went to the baker's (shop).
 It was in the grocer's (shop).
 We met at the lawyer's (office).

შ ე ნ ი შ ე ნ ა : წინადადებაში სიტყვები: house, shop, office ხშირად გამოტოვებულია კუთვნილებით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელის შემდეგ წინდებულთან ფრაზაში:

მე ვსადილობ დედაჩემთან (სახლში).
 ის წაიდა საფუნთუშეში (მაღაზიაში).
 ეს მოხდა გასტრონომში (მაღაზიაში).
 ჩვენ შევხვდით იურისტთან (დაწესებულებაში).

THE FUNCTIONS OF THE NOUNS

არსებითი სახელეების ფუნქციები

In the sentence a noun can be: the subject, the object (direct or indirect), the predicative, the attribute, the adverbial modifier (with a prepositions).

წინადადებაში არსებითი სახელი შეიძლება იყოს: ქვემდებარე, დამატება (პირდაპირი ან ირიბი), შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, განსაზღვრება, გარემოება (წინდებულთან ერთად):

1. Subject:
Nino speaks English well.

1. ქვემდებარე:
 ნინო კარგად ლაპარაკობს ინგლისურად.

2. Object (direct):

I write *letters*.

The teacher helped the *pupil*.

2. დამატება (პირდაპირი):

მე ვწერ წერილებს.

მასწავლებელი მოსწავლეს დაეხმარა.

3. Object (indirect):

The teacher gave *the pupil* an English book.

მასწავლებელმა მისცა მოსწავლეს ინგლისური წიგნი.

3. დამატება (ირიბი):

4. Predicative

David is a *painter*. დავითი მხატვარია.

Nino is a *student* of our Institute. ნინო ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტია.

4. შედგენილი შემასმენლის სახელი ნაწილი:

5. განსაზღვრება:

5. Attribute:

It is *the fruit* season now. ახლა ხილის სეზონია.

I have a *paper* bag. მე ქაღალდის პარკი მაქვს.

Note: Some nouns are used as relative adjectives. Such nouns are called *adjectivized nouns*. In the sentence they perform the function of attributes:

შენი შენა: ზოგი არსებითი სახელი იხმარება ზედსართავის ფუნქციით. ისინი გაზედხართავხებულელია. წინადადებაში იგი შეიძლება იყოს: განსაზღვრება:

A *school* library.

A *football* match.

A *gold* watch.

Winter sport.

სკოლის ბიბლიოთეკა.

ფეხბურთის მატიჩი.

ოქროს საათი.

ზამთრის სპორტი.

6. Adverbial modifier:

I was *in Moscow* last summer. შარშან ზაფხულში მოსკოვში ვიყავი.

We are *at the lesson*. ჩვენ გაკვეთილზე ვართ.

6. გარემოება:

THE ARTICLE

არტიკლი

The article is a form-word (a determiner) used as the marker of the noun. There are two Articles in English: the Indefinite Article - *a* (*an*), and the Definite Article - *the*.

არტიკლი არსებითი სახელის განმსაზღვრელი დამხმარე სიტყვაა. არტიკლი ორია ინგლისურში: განუსაზღვრელი - *a* (*an*) და განსაზღვრული - *the*.

We can name a thing:

a) to distinguish a thing belonging to a class from those belonging to other classes:

This is a bag (any bag, but not a pen, a book or any other thing).

b) to distinguish a particular thing from other similar things within the same class:

I want to buy the bag (not any bag, buy a definite one).

Indefinite and Definite Articles serve to show this difference.

THE INDEFINITE ARTICLE

The Indefinite Article is a nominating, classifying article. It merely names a thing and refers it to a definite class.

When we generalize a noun, we place the Indefinite Article before it:

This is *a* pencil. ეს ფანქარია.

The Indefinite Article *a* indicates that we mean any pencil (one of the class of pencils) which we do not single out from among similar things (here - a pencil).

I want to buy *a* pencil.

მეტყველებისას ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ სახელი ისე, რომ:

ა) გამოვყოთ იგი მისგან განსხვავებული საგნებიდან (და ამით გამოვარჩიოთ ერთი კლასი, რომელსაც ეს საგანი ეკუთვნის):

ეს ჩანთაა (და არა წიგნი, კალამი და სხვ.).

ბ) გამოვყოთ იგი მისი მსგავსი ერთი და იგივე კლასის საგნებიდან:

მე მინდა ვიყილო ჩანთა (არა საზოგადოდ ჩანთა, არამედ განსაზღვრული).

ამ განსხვავების გამოსახატავად იხმარება განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლი.

განუსაზღვრელი არტიკლი

განუსაზღვრელი არტიკლი წოდებითი და მაკლასიფიცირებელია, ის მხოლოდ ასახელებს საგანს (განსაზღვრავს თუ რომელ საგანზეა ლაპარაკი) და განსაზღვრულ კლასს უქვემდებარებს.

როცა არსებით სახელს ზოგადი მნიშვნელობით ვხმარობთ, მის წინ განუსაზღვრელი არტიკლი დაისმის:

განუსაზღვრელი არტიკლი *a* - გვიჩვენებს, რომ ეს რომელიღაც ერთი ფანქარია (მოცემული კლასის), რომელიც არ გამოვაცალკევებთ არსებული საგნებიდან (ამ შემთხვევაში ფანქრებიდან):

მე მინდა ვიყილო ფანქარი.

The Indefinite Article *a* indicates that I generally wish to buy a pencil, but not a book, a pen, a table or any other object.

Thus, when we consider a thing as a representative of a given class and do not single it out from among similar things, (when we mean any pencil, no matter which) the Indefinite Article is used

Note 1: The Indefinite Article originated from the numeral one.

The Definite Article originated from the demonstrative pronoun that.

Note 2: The Indefinite Article has two forms: *a* [ə] - before words beginning with a consonant sound and *an* [ən] - before words beginning with a vowel sound:

a book, *a* table
an engineer, *an* actor

The Indefinite Article is used only before singular nouns:

a book, *a* door, *a* table

The Indefinite Article is never used before uncountable and countable nouns in the plural:

These are books.
They are sailors.

განუსაზღვრელი არტიკლი *a* - გვიჩვენებს, რომ მე მსურს ერთი რომელიღაც ფანქრის ყიდვა და არა სხვა რომელიმე საგნის - წიგნის, კალმის, მაგიდის, ფეხსაცმლის და სხვ.

ე.ი. როცა მხედველობაში გვაქვს საგანი როგორც მხოლოდ მოცემულ საგანთა კლასის წარმომადგენელი და არ გამოვაცალკევებთ მას მისი მსგავსი საგნებიდან (ამ შემთხვევაში - ფანქრებიდან), ე.ი. როცა ვლაპარაკობთ ფანქარზე და მხედველობაში გვაქვს ნებისმიერი ფანქარი, მაშინ მის წინ დაისმის განუსაზღვრელი არტიკლი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა 1: განუსაზღვრელი არტიკლი წარმოქმნილია რიცხვითი სახელიდან one (ერთი).

განსაზღვრული არტიკლი წარმოქმნილია ჩვენებითი ნაცვალსახელიდან that.

შ ე ნ ი შ ე ნ ა 2: განუსაზღვრელ არტიკლს ორი ფორმა აქვს: *a* [ə] იმ სიტყვების წინ, რომლებიც თანხმოვნით იწყება და *an* [ən] იმ სიტყვების წინ, რომლებიც ხმოვნით იწყება:

განუსაზღვრელი არტიკლი იხმარება მხოლოდ მხოლოდობითი რიცხვის სახელებთან:

განუსაზღვრელი არტიკლი არასდროს არ იხმარება უთვლადი და მრავლობით რიცხვში მდგარი არსებითი სახელის წინ.

ეს წიგნებია.
ისინი მეზღვაურები არიან.

Life is sweet.

Snow is white.

Such meaningful absence of the article is called the zero-article.

The Indefinite Article may stand before a descriptive attribute qualifying the noun:

It is a *little* goat.

My uncle caught *a big* fish.

სიცოცხლე მშვენიერია.

თოვლი თეთრია.

ასეთ გამოტოვებულ არტიკლს ეწოდება ნულოვანი არტიკლი.

განუსაზღვრელი არტიკლი იმ არსებითი სახელის წინ დგას, რომელიც განისაზღვრება აღწერილობითი განსაზღვრებით:

ის პატარა თხაა.

ბიძაჩემმა დაიჭირა დიდი თევზი.

THE DEFINITE ARTICLE

განსაზღვრული არტიკლი

When we particularize a noun, we place the definite article before it:

როცა არსებით სახელს ინდივიდუალური მნიშვნელობით ვხმარობთ, მის წინ განსაზღვრული არტიკლი დაისმის:

The book is here. წიგნი აქ არის.

The Definite Article indicates that not a *ny* book is meant, but the definite one which is distinct from other similar objects (books).

განსაზღვრული არტიკლი *The* - გვიჩვენებს, რომ მხედველობაშია არა რომელიმე, არამედ განსაზღვრული წიგნი, რომელიც სხვა მისი მსგავსი საგნებიდან - ე. ი. წიგნებიდან ირჩევა:

Give me *the* book, please. მომეცით (ის) წიგნი, გთაყუა.

The - indicates that I wish to have not any book, but a particular one, which is now on the table before my friend.

The - გვიჩვენებს, რომ მე ვთხოვლობ არა რომელიმე წიგნს, არამედ სწორედ იმ წიგნს, რომელიც, ვთქვათ, მაგიდაზე დევს ჩემი ამხანაგის წინ.

Note: The definite article reads [ბი] before vowel sounds and [ბა] before consonant sounds:

შ ე ნ ი შ ე ნ ა ი: განსაზღვრული არტიკლი წარმოითქმის როგორც [ბი] ხმოვანი ბგერების წინ და როგორც [ბა] თანხმოვანი ბგერების წინ:

The pencil [ბა 'pensl], *The Institute* [ბი 'insti:tju:]

Note 2: The definite article is used both before countables (singular and plural) and uncountables:

შენი შენაჲ: განსაზღვრული არტიკლი იხმარება თელად (მხოლოდობითა და მრავლობითში) და უთელად არსებით სახელებთან:

The book I bought yesterday is very good.-
წიგნი, რომელიც გუშინ ვიყიდე, ძალიან კარგია.

The books I bought yesterday are very good. -
წიგნები, რომლებიც გუშინ ვიყიდე, ძალიან კარგია.

The milk is warm.

ეს რძე თბილია.

The air is cold tonight.

ჰერი ცივია ამდამ.

The Definite Article may stand before a noun with a limiting attribute:

განსაზღვრული არტიკლი იმ არსებითი სახელის წინ დგას, რომელსაც მაკონკრეტებელი განსაზღვრება მოყვება, ე. ი. განსაზღვრება, რომელსაც ინდივიდუალური მნიშვნელობით ვხმარობთ:

He saw a familiar face in the second row.

მან ნაცნობი სახე დაინახა მეორე რიგში.

The path between the houses was narrow.

ბილიკი ორ სახლს შორის ვიწროა.

The Use of Articles

არტიკლების ხმარება

The Indefinite Article is used:

განუსაზღვრელი არტიკლი იხმარება:

1. Before any noun predicative, countable, singular, without anything to particularize it:

1. ნებისმიერი თელადი მხოლოდობითი რიცხვის პრედიკატული არსებითი სახელის წინ, რომელიც არ იხმარება ინდივიდუალური მნიშვნელობით:

David is a painter. დავითი მხატვარია.

My father is a blacksmith. მამაჩემი მჭედელია.

My brother is an engineer. ჩემი ძმა ინჟინერია.

I am a Georgian. მე ქართველი ვარ.

Tom is an Englishman. თომას ინგლისელია.

2. Before *hundred, thousand, million, pound, Kilogram* when they have the meaning of one:

2. სიტყვების - ასი, ათასი, მილიონი, გირვანქა, კილოგრამის - წინ, როცა მათ აქვთ მნიშვნელობა ერთი:

a million ერთი მილიონი

She has a hundred books. მას ასი წიგნი აქვს.

There were a thousand people in the hall.

დარბაზში (ერთი) ათასი კაცი იყო.

3. Before nouns expressing time having the meaning of every:

3. დროის გამომხატველი არსებითი სახელების წინ, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა - ყოველი:

I go to the cinema once a week (once every week).

კინოში (ყოველ) კვირაში ერთხელ დადივარ.

We have six lessons a day (every day).

დღეში (ყოველდღე) ექვსი გაკვეთილი გვაქვს.

I get a thousand roubles a month (every month).

თვეში (ყოველ თვიურად) ათას მანეთს ვიღებ.

I go to Moscow twice a year (every year).

მოსკოვში წელიწადში (ყოველ წელიწადს) ორჯერ მივდივარ.

4. After the word *what* in exclamatory sentences, if the noun is countable and in the singular:

4. სიტყვა *what*-ის შემდეგ ძახილის წინადადებაში თვლადი არსებითი სახელის წინ მხოლოდობით რიცხვში:

What a fine day! რა მშვენიერი დღეა!

What a beautiful picture! რა მშვენიერი სურათია!

What an interesting story! რა საინტერესო მოთხრობაა!

But: What fine weather! მაგრამ: რა ჩინებული ამინდია!

5. In narration, to introduce a new element (a thing, a person, ect) in the sentence, we just name a thing new to the hearer:

I met a man in the street.

Here "a man" is a new person for the hearer.

The Definite Article is used:

1. Before nouns which express unique things:

5. თხრობის დროს პირველად მოხსენიებულ არსებით სახელებთან ჩვენ მარტო ვასახელებთ ახალ ელემენტს (საგანი, პიროვნება): ქუჩაში (ვიღაც ერთ) კაცს შევხვდი.

აქ "a man" ახალი ელემენტია.

განსაზღვრული არტიკლი იხმარება:

1. იმ არსებითი სახელების წინ, რომლებიც გამოხატავენ ერთადერთ საგანს:

the sun (მზე), the moon (მთვარე), the sky (ცა), the earth (დედამიწა), the universe (სამყარო), the atmosphere (ატმოსფერო), the North (ჩრდილოეთი), the South (სამხრეთი), the East (აღმოსავლეთი), the West (დასავლეთი).

2. Before the names of oceans, seas, lakes, rivers and mountain ranges:

2. ოკეანეების, ზღვების, ტბების, მდინარეებისა და მთაგარეხილების სახელწოდებათა წინ:

steamboat [ˈstiːmbəʊt] თბომავალი (გემი)

steamship [ˈstiːmʃɪp] თბომავალი (გემი)

Many nouns have the same form as the corresponding verbs in the infinitive:

to help დახმარება

to answer პასუხის გაცემა

to smile გალობება

Some nouns differ from the corresponding infinitive in their accent:

7. *-ing* სუფიქსი ზმნებიდან წარმოებს არსებით სახელებს:

reading [ri:diŋ] კითხვა

meeting [mi:tiŋ] შეხვედრა

shooting [ʃu:tiŋ] სროლა

გ) მარტივი და წარმოქმნილი არსებითი სახელების გარდა, არსებობს აგრეთვე შედგენილი არსებითი სახელები.

შედგენილი არსებითი სახელები ჩვეულებრივ იწარმოება ორივე სიტყვის შერწყმით.

მათ აქვთ მხოლოდ ერთი მახვილი - პირველ სიტყვაზე:

ბევრ არსებით სახელს იგივე ფორმა აქვს, რაც მის შესატყვის ზმნებს ინფინიტივში:

help დახმარება

an answer პასუხი

a smile ლიმილი

ზოგი არსებითი სახელი თავისი შესატყვისი ინფინიტივისაგან განსხვავდება მახვილით:

to insult [inˈsʌlt] შეურაცხყოფა
to import [ɪmˈpɔ:t] იმპორტირება
to export [eksˈpɔ:t] ექსპორტირება

an insult [ˈɪnsʌlt] შეურაცხყოფა
import [ɪmˈpɔ:t] იმპორტი
export [ˈeksɔ:t] ექსპორტი

WORDBUILDING OF ADJECTIVES

Adjective can be simple and derivative (or derived).

a) Simple adjectives are indivisible words:

white, red, short, long, good

b) Derivative adjectives are formed by means of prefixes or suffixes.

The following are the most widespread adjective-forming suffixes:

-ful, -less, -able, -y, -ish, -en

1) The suffixes *-ful* and *-y* form adjectives from nouns and denote the presence of a given quality:

use [ju:s] - სარგებლობა

tact [tækt] - ტაქტი

hope [həʊp] - იმედი

smoke [sməʊk] - კვამლი

sun [sʌn] - მზე

luck [lʌk] - ბედი

2) The suffix *-less* forms adjectives from nouns and denotes the absence of a given quality:

ზედსართავი სახელავის წარმოება

ზედსართავი სახელები შეიძლება იყოს მარტივი და წარმოქმნილი.

ა) მარტივი ზედსართავი სახელები განუყოფელი სიტყვებია:

ბ) წარმოქმნილი ზედსართავი სახელები თავსართების ან ბოლოსართების საშუალებით იწარმოება.

ზედსართავი სახელების მაწარმოებელი ყველაზე მეტად გავრცელებული სუფიქსებია:

1) *-ful* და *-y* სუფიქსები არსებითი სახელებიდან აწარმოებს ზედსართავ სახელებს და გვიჩვენებს მოცემული თვისების ან ღირსების არსებობას:

useful [ˈju:sfʊl] - სასარგებლო

tactful [ˈtæktfʊl] - ტაქტიანი

hopeful [ˈhəʊpfʊl] - იმედიანი
(იმედით სავსე)

smoky [ˈsməʊki] - კვამლიანი

sunny [ˈsʌni] - მზიანი

lucky [ˈlʌki] - ბედნიერი

2) *-less* სუფიქსი არსებითი სახელებიდან აწარმოებს ზედსართავ სახელებს და გვიჩვენებს მოცემულ

use სასარგებლო
tact ტაქტი
hope იმედი

3) The suffix *-able* forms adjectives from verbs:
to change [tʃeɪndʒ] შეცვლა
to read [ri:d] წაკითხვა

4) The suffix *-ish* forms adjectives from noun and other adjectives:
child [tʃaɪld] ბავშვი
sweet [swi:t] ტკბილი
white [waɪt] თეთრი

5) The suffix *-en* forms adjectives from nouns.

wood [wud] ხე
wool [wul] შალი
gold [gould] ოქრო

6) The suffix *-al* forms adjectives from noun stems:

music [mju:zɪk] მუსიკა
nation [neɪʃən] ერი
politiks [pəlɪtɪks] პოლიტიკა

7. The suffix *-ed* forms adjectives from nouns:

paper [peɪpə] ქაღალდი
gift [gɪft] ნიჭი

8) The suffix *-ive* forms adjectives from verb stems:

ლი თვისების ან ღირსების უქონლობას:

useless [ˈju:sɪs] უსარგებლო
tactless [ˈtæktɪs] უტაქტო
hopeless [ˈhouplɪs] უიმედო

3) სუფიქსი *-able* ზედსართავ სახელებს აწარმოებს ზმნებიდან:
changecable [ˈtʃeɪndʒəbəl] ცვლადი
readable [ˈri:dəbəl] საკითხავი

4) *-ish* სუფიქსი აწარმოებს ზედსართავ სახელებს არსებითი და სხვა ზედსართავი სახელებიდან:
childish [tʃaɪldɪʃ] ბავშვური
sweetish [ˈswi:tɪʃ] მოტკბო
whitish [ˈwaɪtɪʃ] მოთეთრო

5) *-en* სუფიქსი აწარმოებს ზედსართავ სახელებს არსებითი სახელებიდან:

wooden [wudn] ხის
woollen [ˈwʊln] შალის
golden [ˈgəʊldɪn] ოქროსფერი

6) *-al* სუფიქსი არსებითი სახელიდან აწარმოებს ზედსართავ სახელებს:

musical [mju:zɪkəl] მუსიკალური
national [nəʃənəl] ეროვნული
political [pəlɪtɪkəl] პოლიტიკური

7. *-ed* სუფიქსი არსებითი სახელიდან აწარმოებს ზედსართავ სახელებს:

papered [peɪpəd] ქაღალდში გახეული
gifted [gɪftɪd] ნიჭიერი

8) *-ive* სუფიქსი ზმნებიდან აწარმოებს ზედსართავ სახელებს:

to attract [at'raekt] მიზიდვა
to collect [ka'lekt] შეკრება
to possess [pa'zes] ფლობა

attractive [at'raektiv] მიმზიდველი
collective [ka'lektiv] კოლექტიური
possessive [pazesiv] მესაკუთრული

c) Besides simple and derivative adjectives there are also compound adjectives.

Compound adjectives are usually formed from two stems out of which the second is always an adjective stem; the first may be a noun, an adverb or an adjective stem:

გ) მარტივი და წარმოქმნილი ზედსართავი სახელების გარდა, არსებობს აგრეთვე შედგენილი ზედსართავი სახელები. შედგენილი ზედსართავი სახელები ჩვეულებრივ იწარმოება ორი ფუძისაგან, რომელთაგან პირველი ფუძე შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზმნიზედა ან ზედსართავი სახელი, ხოლო მეორე ფუძე ყოველთვის ზედსართავი სახელია:

snow + white = snow + white ['snou 'waɪt] თოვლივით თეთრი
over + polite = overpolite [ouva'pəlaɪt] ზედმეტად თავაზიანი
dark + brown = dark brown [da:k'braʊn] მუქი ყავისფერი

Some compound derivative adjectives are formed from another adjective + noun (a compound stem) + suffix *ed*:

ზოგი შედგენილი ზედსართავი სახელი შემდეგნაირად იწარმოება: (ზედსართავი+არსებითი სახელი) (შედგენილი ფუძე) + ed სუფიქსი:

(dark + face) + ed = dark-faced [da:k'feɪst] შავვერემანი
(blue + eye) + ed = blue-eyed [blu:'aɪd] ცისფერთვალა
(bare + foot) + ed = bare-footed ['beə 'fʊtɪd] ფეხშიშველი
(white + head) + ed = whiteheaded ['waɪt 'hedɪd] თეთრთმიანი
(bare + head) + ed = bareheaded ['beə 'hedɪd] თავშიშველი

WORD-BUILDING OF VERBS

ზმნავის წარმოება

Verbs can be simple or derived.

ზმნები შეიძლება იყოს მარტივი და წარმოქმნილი.

a) Simple verbs are indivisible words:

ა) მარტივი ზმნები განუყოფელი სიტყვებია:

to be, to have, to go, to ask, to talk.

b) Derived verbs are formed by means of prefixes or suffixes. The

ბ) წარმოქმნილი ზმნები პრეფიქსების ან სუფიქსების საშუალებით

following are the most widespread verb-forming suffixes:

იწარმოება. ზმნის მაწარმოებელი ყველაზე მეტად გავრცელებული სუფიქსებია:

-en, -fy, -ize, -ate

1. the suffix *-en* forms verbs from adjectives:

black შავი
white თეთრი
wide განიერი
red წითელი
sweet ტკბილი
soft რბილი

1. -en სუფიქსი ზმნებს აწარმოებს ზედსართავი სახელებიდან:

to blacken [ˈblækɪn] გაშავება
to whiten [ˈwaɪtɪn] გათეთრება
to widen [ˈwaɪdn̩] გაფართოება
to redden [ˈredn̩] გაწითლება
to sweeten [ˈswiːtn̩] გატკბილება
to soften [ˈsɒfn̩] გარბილება

2. The suffix *-fy*:

to specify [ˈspesɪfaɪ] ზუსტად განსაზღვრა
to electrify [ɪˈlektɹɪfaɪ] ელექტრიფიცირება
to simplify [ˈsɪmplɪfaɪ] გაუბრალოება
to signify [ˈsɪgnɪfaɪ] ნიშნავს (ნიშნავს)
to fortify [ˈfɔːtɪfaɪ] გამაგრება

2. სუფიქსი -fy:

3. The suffix *-ize*:

to activize [ˈæktɪvaɪz] აქტივიზება, გააქტიურება
to utilize [ˈjuːtɪlaɪz] გამოყენება
to specialize [ˈspʰaɪʃaɪz] სპეციალიზება
to mobilize [ˈməʊbɪlaɪz] მობილიზება
to recognize [ˈrɛkəɡnaɪz] ცნობა

3. სუფიქსი -ize:

4. The suffix *-ate*:

to cultivate [ˈkʌltɪveɪt] დამუშავება
to separate [ˈsepəreɪt] განცალკევება
to agitate [ˈædʒɪteɪt] აღელვება
to complicate [ˈkɒmplɪkeɪt] გართულება

4. სუფიქსი -ate:

c) Besides simple and derivative verbs there are also compound verbs.

Compound verbs are usually formed from a verb stem + an adverb stem:

გ) მარტივი და წარმოქმნილი ზმნების გარდა, არსებობს აგრეთვე შედგენილი ზმნები.

შედგენილი ზმნები ჩვეულებრივ იწარმოება - ზმნა+ზმნიზედა:

to overcome [ouva'klam] დაძლევა
 to overlook ['ouva' luk] ზემოდან ცქერა
 to put on წამოწყება
 to undertake ['Anda' icik] ჩაცმა
 to take off გასდა
 to put off გადადება (რაიმე საქმის)
 to give up თავის დანებება
 to give away ჩუქება

PREFIXES

პრეფიქსები

Nouns, adjectives and verbs usually have the same prefixes.

არსებით სახელებს, ზედსართავ სახელებს და ზმნებს ჩვეულებრივ ერთიდაიგივე პრეფიქსები აქვთ. ყველაზე მნიშვნელოვანი პრეფიქსებია:

The following prefixes are the most important:

a) N o u n s

ა) ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

The prefix *un-* has a negative meaning:

un- პრეფიქსს აქვს უარყოფითი მნიშვნელობა:

truth [truθ] სიმართლე
 belief [bi'li:f] რწმენა
 believer [bi'li:və] მორწმუნე

untruth ['An' truθ] ტყუილი
 unbelief ['Anbi' li:f] ურწმუნოება
 unbeliever ['Anbi' li:və] ურწმუნო

b) A d j e c t i v e s

ბ) ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

happy [hæpi] ბედნიერი
 lucky [lʌki] იღბლიანი
 equal [i:kwəl] თანაბარი

unhappy [An'hæpi] უბედური
 unlucky ['An' lʌki] უიღბლო
 unequal ['An' i:kwəl] არათანაბარი

c) V e r b s

გ) ზ მ ნ ე ბ ი

to dress [dres] ჩაცმა
 to lock [lɒk] დაკეტვა
 to load [ləud] დატვირთვა

to undress ['An' dres] გასდა
 to unlock [An' lɒk] გაღება
 to unload [An' ləud] განტვირთვა

The prefix *in-* (*im-*) has a negative meaning:

in- (-im) პრეფიქსს აქვს უარყოფითი მნიშვნელობა:

a) N o u n s

ა) ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

sensibility ['sensɪ' bɪlɪti] - მგრძობიარობა

insensibility [ɪnˈsensəˈbɪlɪtɪ] უგრძნობელობა
sincerity [sɪnˈsɛrɪtɪ] - გულწრფელობა
insincerity [ˈɪnsɪnˈsɛrɪtɪ] არაგულწრფელობა
possibility [ˈpɒsəˈbɪlɪtɪ] - შესაძლებლობა
impossibility [ɪmˈpɒsɪˈbɪlɪtɪ] შეუძლებლობა

b) A d j e c t i v e s

sensible [ˈsensəbl] - მგრძნობიარე
sincere [sɪnˈsɪə] - გულწრფელი
possible [ˈpɒsəbl] - შესაძლებელი

ბ) ზ ე დ ს ა რ თ ა ე ი ს ა ხ ე -
 ლ ე ბ ი

insensible [ɪnˈsensəbl] - უგრძნობი
insincere [ˈɪnsɪnˈsɪə] - არაგულწრფელი
impossible [ɪmˈpɒsəbl] - შეუძლებელი

the prefix *dis-* has a negative meaning:

dis პრეფიქსს აქვს უარყოფითი მნიშვნელობა:

a) N o u n s

ability [əˈbɪlɪtɪ] - უნარიანობა
disability [ˈdɪsəˈbɪlɪtɪ] - უუნარობა
armament [ˈɑːmənt] - შეიარაღება
disarmament [dɪsˈɑːmənt] - განიარაღება
embarkation [ˈembɑːkeɪʃn] - ჩასხდომა (გემში)
disembarkation [ˈdɪsembɑːkeɪʃn] - ჩამოსვლა ნაპირზე (გემიდან)

ა) ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე -
 ბ ი

b) A d j e c t i v e s

agreeable [əˈɡriəbl] სასიამოვნო
proportionate [prəˈpɔːʃnɪt] - პროპორციული
similar [ˈsɪmɪlə] მსგავსი

ბ) ზ ე დ ს ა რ თ ა ე ი ს ა ხ ე -
 ლ ე ბ ი

disagreeable [dɪsəˈɡriəbl] - არასასიამოვნო
disproportionate [dɪsprəˈpɔːʃnɪt] - არაპროპორციული
dissimilar [ˈdɪˈsɪmɪlə] - განსხვავებული

c) V e r b s

to agree [əˈɡriː] - დათანხმება

ვ) ზ მ ნ ე ბ ი

to *disagree* [ˈdɪsˈəɡriː] არდათანხმება

to arm [ɑ:m] - შეიარაღება

to approve [ə'pru:v] - მოწონება

The prefix *re-* expresses repetition.

1. N o u n s

construction [kən'strʌkʃn] - აგება, აშენება

2. V e r b s

to construct [kən'strʌkt] - აგება, აშენება

to print [prɪnt] - დაბეჭდვა

to write [raɪt] - დაწერა

to *disarm* [dɪs'ɑ:m] - განიარაღება

to *disapprove* [dɪsə'pru:v] - დაწუნება

პრეფიქსი *re-* გამოხატავს განმეორებას, ხელახალ მოქმედებას.

1. ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

reconstruction ['ri:kɒns'trʌkʃn] - რეკონსტრუქცია, ხელახლა აგება, აშენება

2. ზ მ ნ ე ბ ი

to *reconstruct* ['ri:kɒ'nstrʌkt] - რეკონსტრუირება, ხელახლა აგება, აშენება

to *reprint* [ri:'prɪnt] - გადაბეჭდვა (ხელახლა)

to *rewrite* ['ri:'raɪt] გადაწერა (ხელახლა)

PART TWO

მეორე ნაწილი

SYNTAX

სინტაქსი

Syntax studies the sentence, its parts; as well as the structure of the sentences.

სინტაქსი შეისწავლის წინადადებას, წინადადების წევრებს და აგრეთვე მის აგებულებას.

THE SENTENCE

წინადადება

KINDS OF SENTENCES

წინადადებათა სახეები

According to their meaning there are four kinds of sentences: *Declarative, Interrogative, Exclamatory and Imperative.*

თავისი შინაარსის მიხედვით წინადადებათა ოთხი სახე არსებობს: თხრობითი, კითხვითი, ძახილის და ბრძანებითი.

a) A Declarative Sentence states a fact and it can be either affirmative or negative:

ა) თხრობითი წინადადება ადგენს რაიმე ფაქტს და ის შეიძლება იყოს ან მტკიცებითი, ან უარყოფითი:

We study English. ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს. (მტკიცებითი)

They do not study English. ისინი არ სწავლობენ ინგლისურს.

(უარყოფითი)

b) An Interrogative Sentence expresses a question.

ბ) კითხვითი წინადადება გამოხატავს კითხვას.

There are four types of interrogative sentences in the English language: *General, Special, Disjunctive and Alternative.*

ინგლისურ ენაში კითხვითი წინადადებათა ოთხი ტიპი არსებობს: საზოგადო, სპეციალური, განმყოფელი და თუობითი.

1. A *General Question* does not contain an interrogative word and requires the answer *Yes*, or *No*:

1. საზოგადო კითხვა არ შეიცავს კითხვით სიტყვას და მოითხოვს უშუალოდ პასუხს "დიახ" ან "არა":

Are you a student?

Yes, I am. No, I am not.

თქვენ სტუდენტი ხართ?

დიახ. არა.

Can he speak English?

Yes, he can. No, he cannot.

Do you know French?

Yes, I do. No, I do not.

Have you enough time?

Yes, I have. No, I have not.

Will he come in time?

Yes, he will. No, he will not.

შეუძლია მას ინგლისურად ლაპარაკი?

დიახ. არა.

იცით ფრანგული?

დიახ. არა.

გაქვთ საკმარის დრო?

დიახ. არა.

მოვა ის დროზე?

დიახ. არა.

2. A *Special* question contains an interrogative word and may refer to any part of the sentence:

David brought the book yesterday.

Who brought the book yesterday?

What did David bring yesterday?

When did David bring the book?

2. სპეციალური კითხვა შეიცავს კითხვით სიტყვას და შეიძლება შეეხოს წინადადების ნებისმიერ წევრს:

დავითმა მოიტანა წიგნი გუშინ.

ვინ მოიტანა წიგნი გუშინ? (ქვემდებარე)

რა მოიტანა დავითმა გუშინ? (დამატება)

როდის მოიტანა დავითმა წიგნი? (დროის გარემოება)

The interrogative word is placed at the beginning of the sentence.

Note: If the interrogative word refers to the Subject or its attributes it becomes the Subject of the sentence. In this case no auxiliary verb is used:

Lana's brother fell ill.

Who fell ill?

Whose brother fell ill?

Note: If the interrogative word refers to other parts of the sentence the auxiliary verb is used:

She goes to school every day

Where does she go every day?

When does she go to school?

სპეციალურ კითხვებში კითხვითი სიტყვა დგას წინადადების თავში.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თუ კითხვითი სიტყვა ეხება ქვემდებარეს ან ქვემდებარის განსაზღვრებას, მაშინ ეს კითხვითი სიტყვა თვითონაა წინადადების ქვემდებარე. ამ შემთხვევაში დამხმარე ზმნა არ იხმარება:

ლანას ძმა ავად გახდა.

ვინ გახდა ავად?

ვისი ძმა გახდა ავად?

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თუ კითხვითი სიტყვა ეხება წინადადების სხვა დანარჩენ წევრებს, მაშინ მათ შემდეგ დამხმარე ზმნა დგას:

ის სკოლაში დადის ყოველ დღე.

(კითხვა ეხება ადგილის გარემოებას)

(კითხვა ეხება დროის გარემოებას)

3. A *Disjunctive* question consists of two parts.

The first part contains a statement and the second one a general question.

If the first part is affirmative, the second part is negative.

If the first part is negative, the second part is affirmative:

He is a good boy? *isn't he?* ის კარგი ბიჭია, არა?

You know English, *don't you?* თქვენ ინგლისური იცით, არა?

She sings well, *doesn't she?* ის კარგად მღერის, არა?

He can translate it, *can't he?* მას შეუძლია ამის თარგმნა, არა?

He isn't a good boy, is he? ის არაა კარგი ბიჭი, არა?

You don't know English, *do you?* თქვენ არ იცით ინგლისური, არა?

She doesn't sing well, *does she?* ის არ მღერის კარგად, არა?

He can't translate it, *can he?* მას არ შეუძლია ამის თარგმნა, არა?

4. An *alternative question* implies choice.

In order to form an alternative question we must join two general questions by means of the conjunction *or*.

Do you study well *or* (do you study) badly? თქვენ კარგად სწავლობთ თუ ცუდად?

Is he smoking a cigarette *or* (is he smoking) a pipe? ის კაცი პაპიროსს სწევს თუ ჩიბუხს?

Note: Often the second general question is not a complete question:

Do you study well or badly?

Is he smoking a cigarette or a pipe?

c) An *Exclamatory sentence* expresses joy, grief, astonishment,

3. განმყოფელი კითხვა ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი მტკიცებას შეიცავს, ხოლო მეორე - საზოგადო კითხვას.

თუ პირველი ნაწილი მტკიცებითია, მაშინ მეორე ნაწილი უარყოფითია.

თუ პირველი ნაწილი უარყოფითია, მაშინ მეორე ნაწილი მტკიცებითია. მეორე ნაწილი ქართულად შეიძლება ითარგმნოს სიტყვით "არა".

4. თუობითი კითხვა მიუთითებს არჩევანზე.

თუობითი კითხვის წარმოებისას ორი საზოგადო კითხვა უნდა შევაერთოთ "თუ" კავშირის საშუალებით:

Do you study well *or* (do you study) badly? თქვენ კარგად სწავლობთ თუ ცუდად?

Is he smoking a cigarette *or* (is he smoking) a pipe? ის კაცი პაპიროსს სწევს თუ ჩიბუხს?

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ხშირად მეორე საზოგადო კითხვა არ არის სრული:

ვ) ძახილის წინადადება გამოხატავს სიხარულს, მწუხარებას, გან-

etc. An exclamatory sentence usually begins with an exclamatory word: *what, how*. ცვიფრებას, და ა. შ. ძახილის წინადადება ჩვეულებრივ იწყება ძახითი სიტყვით "რა", "როგორ".

What a beautiful child! რა ლამაზი ბავშვია!

How cold it is today! როგორ ცივა დღეს!

d) An Imperative sentence expresses a command or a request: გ) ბრძანებითი წინადადება გამოხატავს ბრძანებას ან თხოვნას:

Go home! წადი სახლში!

Let us stay here! მოდი აქ დავრჩეთ!

Let him come here at once! მოვიდეს აქ სასწრაფოდ!

Get me that map, please. მომიტანეთ ვგ რუკა, თუ შეიძლება.

TYPES OF SENTENCES

წინადადვათა ტიპები

According to their structure there are five types of sentences: *Simple Unextended, Simple Extended, Compound, Sentences with homogeneous parts* and *complex Sentences*.

თავისი შემადგენლობის მიხედვით არსებობს წინადადების ხუთი ტიპი: მარტივი გაუვრცობელი, მარტივი გავრცობილი, რთული თანწყობილი, შერწყმული და რთული ქვეწყობილი.

1. A Simple Unextended Sentence consists of the principal parts only - the subject and the predicate:

1. მარტივი გაუვრცობელი წინადადება მხოლოდ მთავარი წევრებისაგან - ქვემდებარისა და შემასმენლისაგან შედგება:

David works. დავითი მუშაობს.

She is reading. ის კითხულობს.

Are you writing? თქვენ წერთ?

He is not a teacher. ის არ არის მასწავლებელი.

2. A Simple Extended Sentence contains some secondary parts besides the subject and predicate:

2. მარტივი გავრცობილი წინადადება ქვემდებარისა და შემასმენლის გარდა შეიცავს მეორეხარისხოვან წევრებსაც:

David works *at a factory*. დავითი მუშაობს ფაბრიკაში. (გარემოება)

She is reading a book. ის კითხულობს წიგნს. (დამატება)

He is a good swimmer. ის კარგი მოცურავეა. (განსაზღვრება)

3. A Compound Sentence consists of two or more independent clauses which are joined either by means of coordinative conjunctions or without them.

The main coordinative conjunctions are the following:

and, but, for (და, მაგრამ, რადგანაც)

He came home *and* I told him everything. ის მოვიდა *შინ* და მე ყველაფერი ვუთხარი.

I want to go there *but* I have no time. მე მინდა იქ წასვლა, მაგრამ დრო არა მაქვს.

I cannot do it *for* I am busy. მე არ შემიძლია ამის გაკეთება, რადგანაც არა მცალია.

The rain had stopped; the sun was out again. წვიმა შეწყდა; მზე კვლავ გამოვიდა.

He was very tired; his face was pale. ის ძალიან დაღლილი იყო, სახე გაფითრებული ჰქონდა.

4. A Sentence with homogeneous parts contains several subjects to the same predicate or several predicates to the same subject:

a) several subjects to the same predicate:

Mother and father went to the country. დედა და მამა სოფელში წავიდნენ.

David, Tamara and Nelly are playing here. დავითი, თამარი და ნელი აქ თამაშობენ.

b) several predicates to the same subject:

We *washed, dressed and went* to school. ჩვენ დავიბანეთ, ჩავიცვიეთ და წავედით სკოლაში.

3. რთული თანწყობილი წინადადება შედგება ორი ან მეტი დამოუკიდებელი წინადადებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ან მაერთებელი კავშირებით, ან მათ გარეშე.

მთავარი მაერთებელი კავშირები შემდეგია:

and, but, for (და, მაგრამ, რადგანაც)

He came home *and* I told him everything. ის მოვიდა *შინ* და მე ყველაფერი ვუთხარი.

I want to go there *but* I have no time. მე მინდა იქ წასვლა, მაგრამ დრო არა მაქვს.

I cannot do it *for* I am busy. მე არ შემიძლია ამის გაკეთება, რადგანაც არა მცალია.

The rain had stopped; the sun was out again. წვიმა შეწყდა; მზე კვლავ გამოვიდა.

He was very tired; his face was pale. ის ძალიან დაღლილი იყო, სახე გაფითრებული ჰქონდა.

4. შერწყმული წინადადება შეიცავს რამდენიმე ქვემდებარეს ერთი და იმავე შემასმენელთან ან რამდენიმე შემასმენელს ერთი და იმავე ქვემდებარესთან:

ა) რამდენიმე ქვემდებარე ერთი და იმავე შემასმენელთან:

Mother and father went to the country. დედა და მამა სოფელში წავიდნენ.

David, Tamara and Nelly are playing here. დავითი, თამარი და ნელი აქ თამაშობენ.

ბ) რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან:

We *washed, dressed and went* to school. ჩვენ დავიბანეთ, ჩავიცვიეთ და წავედით სკოლაში.

Note: Sentences with homogeneous parts can be developed into Compound Sentences:

Mother went to the country and Father went to the country too. დედა წავიდა სოფელში და მამაც წავიდა სოფელში.

5. A Complex Sentence consists of a principal clause and one or more subordinate clauses:

We shall perform this task if we work well.

We shall perform this task (Principal Clause).

If we work well (subordinate clause), *if* (subordinative conjunction).

Elliptical (Incomplete) Sentences

Incomplete sentences with some part (or parts) omitted are called Elliptical. The missing part is easily understood. Such sentences can be developed into complete ones.

What time is it? *Two o'clock.*

Where do you live? *Near by.*

When did you come? *Just now.*

Is that clear? *Quite.*

Do you like it? *Very.*

Feel a bit tired? *A little.*

In a hurry? *Rather.*

TYPES OF SUBORDINATE CLAUSES

There are five types of subordinate clauses.

They are:

შენიშვნა: შერწყმული წინადადებები შეიძლება დაიშალოს რთულ თანწყობილ წინადადებებად:

5. რთული ქვეწყობილი წინადადება შედგება მთავარი და ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადებისაგან: ჩვენ შევასრულებთ ამ დავალებას, თუ კარგად ვიმუშავეთ.

ჩვენ შევასრულებთ ამ დავალებას (მთავარი წინადადება).

თუ კარგად ვიმუშავეთ (დამოკიდებული წინადადება), თუ (მაქვემდებარებელი კავშირი).

ელიპტიკური (უსრული) წინადადება

წინადადება უსრულია, თუ მასში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი (რომლებიც ადვილად იგულისხმება). ეს წინადადებები შეიძლება დაიშალოს რთულ ქვეწყობილ წინადადებებად.

რომელი საათია? ორი საათია.

სად ცხოვრობთ? ახლოს.

როდის მოხვედრი? ახლახანს. (ეს-ეს არის).

გასაგებია? სრულიად.

მოგწონს? ძალიან.

დაღლილი ხარ? ცოტა.

გეჩქარება? საკმაოდ.

დამოკიდებულ წინადადებათა ტიპები

არსებობს დამოკიდებული წინადადების ხუთი ტიპი.

ესენია:

Subject Clauses, Predicative Clauses, Object Clauses, Attributive Clauses and Adverbial Clauses.

1. *The Subject Clause* performs the function of the subject in the complex sentence:

It is introduced by the subordinate conjunctions *that, whether, if* or by connective words i. e. by pronouns and adverbs: *Who, what, which, where, how, why*:

That he will come here is quite clear. (what is clear?)

What I told you yesterday proved to be correct. (what proved to be correct?)

Who has painted this picture is not known. (what is not known?)

Which of you is the best pupil will be clear after the examination. (what will be clear after the examination?)

2. *The Predicative Clause* performs the function of the predicative in the complex sentence.

It is introduced by the same conjunctions and connective words as the Subject Clause:

This is *what I told you yesterday*.

The fact is *that he promised to do it*.

ქვემდებარული დამოკიდებული, შემასმენლური დამოკიდებული, დამატებითი დამოკიდებული, განსაზღვრებითი დამოკიდებული და გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები.

1. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

იგი წინადადებაში შედის *that, whether, if* მაქვემდებარებელი კავშირებით ან *who, what, which, where, how, why* -კავშირებითი სიტყვებით, ე. ი. ნაცვალსახელებით და ზმნიზებლებით:

რომ ის აქ მოვა, სრულიად ნათელია. (რა არის ნათელი?)

რაც გუშინ გითხარი, სწორი აღმოჩნდა. (რა აღმოჩნდა სწორი?)

ვინ დახატა ეს სურათი, არ არის ცნობილი. (რა არ არის ცნობილი?)

რომელია თქვენში საუკეთესო მოსწავლე, ამას გვიჩვენებს გამოცდა. (რას გვიჩვენებს გამოცდა?)

2. შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ასრულებს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

იგი წინადადებაში შემოდის იმავე კავშირებით და კავშირებითი სიტყვებით, რითაც ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება.

ეს არის, რაც მე გითხარი გუშინ. საქმე ისაა, რომ ის დაგვპირდა ამის გაკეთებას.

The question is *whether he will fulfil his promise or not.*

This is *why he is so angry.*

3. *The Object Clause* performs the function of the object in the complex sentence.

It is introduced by the same conjunctions and connective words as the above mentioned clauses:

He says *that he is busy.* (what does he say?)

I don't know *what I must do now.*

(what don't I know?)

He doesn't know *how he can find us.*

(what doesn't he know?)

Note: Object Clauses after the verbs *to say, to tell, to know, to think* are often joined to the principal clause without the conjunction *that*:

He says he is busy. ის ამბობს, რომ მოუცლელია.

She tells us she will come. ის გვეუბნება, რომ მოვა.

We know he is not here. ჩვენ ვიცით, რომ ის აქ არ არის.

I think he is a clever boy. მე ვფიქრობ, რომ ის ჭკვიანი ბიჭია.

4. *The Attributive Clause* performs the function of the attribute in the complex sentence.

It is introduced by connective words.

These connective words are the relative pronouns *who, whom, which, that, whose* and the adverbs *when, where, how, why*:

საკითხავია, შეასრულებს თუ არა ის თავის დაპირებას.

აი, რატომ არის ასე გაბრაზებული.

3. დამატებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს დამატების ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

იგი წინადადებაში შემოდის იმავე კავშირებით და კავშირებითი სიტყვებით, რითაც ზემოთ აღნიშნული დამოკიდებული წინადადებები.

ის ამბობს, რომ მოუცლელია. (ის რას ამბობს?)

არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო ახლა.

(რა არ ვიცი მე?)

მან არ იცის, როგორ შესძლებს ჩვენს მონახვას.

(რა არ იცის მან?)

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ხშირად დამატებითი დამოკიდებული წინადადებები *to say, to tell, to know, to think* ზმნების შემდეგ უერთდებიან მთავარ წინადადებას *მან კავშირის გარეშე*:

4. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

იგი წინადადებაში შედის კავშირებითი სიტყვებით.

ეს კავშირებითი სიტყვებია მიმართებითი ნაცვალსახელები *who, whom, which, that, whose* და

The girl *who is sitting* there is my sister. (which girl is my sister?)

The man *whom you see* there is our teacher. (which man is our teacher?)

Where is the book *which you showed me* some days ago?

My sister *that lives* in Rustavi is a doctor.

The man *whose name you have mentioned* visited us today.

It was the year *when I began* to study English.

He reached the place *where the path ended*.

Do you know the reason, *why she was late*?

Note: Attributive clauses may be Descriptive and Limiting. Limiting Attributive clauses unlike Descriptive ones are closely connected with the antecedent and cannot be omitted without destroying the meaning of the sentence. Such clauses are not separated by commas and may be introduced by the pronoun *that* and *asyndetically* (without connective words):

The woman *whom we have just met* works at our office.

(A Descriptive Attributive clause, which gives some additional information about the antecedent-the woman).

This woman has two sons. Her son *who lives* in Georgia is a doctor.

ზმნიზედები when, where, how, why:

გოგონა, რომელიც იქ ზის, ჩემი დაა. (რომელი გოგონაა ჩემი და?)

კაცი, რომელსაც იქ ხედავ, ჩვენი მასწავლებელია. (რომელი კაცია ჩვენი მასწავლებელი?)

სად არის წიგნი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მაჩვენე?

ჩემი და, რომელიც რუსთავში ცხოვრობს, ექიმა.

კაცი, რომლის გვარიც შენ ახსენე, გვესტუმრა დღეს.

ეს ის წელიწადი იყო, როცა მე ინგლისურის სწავლა დავიწყე.

მან მიაღწია იმ ადგილს, სადაც ბილიკი თავდებოდა.

იცი თუ მიზეზი, რად დაიგვიანა მან?

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : განსაზღვრებითი (მიმართებითი) დამოკიდებული წინადადებები ორი სახისაა: აღწერილობითი და მაკონკრეტებელი. უკანასკნელნი განსხვავდებიან აღწერილობითი დამოკიდებული წინადადებისაგან იმით, რომ ისინი დაკავშირებულია წინამავალ სახელთან the antecedent-თან და მათი გამოტოვება წინადადებაში არ შეიძლება. ისინი არ გამოიყოფიან მძიმით და შეუძლიათ წინადადებაში შესვლა ნაცვალსახელით that და მაკავშირებელი სიტყვის გარეშე.

ქალი, რომელიც ეს-ეს არის შეგვხვდა, მუშაობს ჩვენს დაწესებულებაში.

(აღწერილობითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც ვეაძლევს დამატებით ინფორმაციას წინამავალი სახელის შესახებ -woman).

ამ ქალს ჰყავს ორი ვაჟიშვილი. მისი ვაჟიშვილი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, ექიმა.

(A limiting Attributive clause which defines the antecedent-son.)

Note: If the relative pronoun is the object of the attributive clause it may be omitted:

The man whom you see there is our teacher.

The man you see there is our teacher.

Where is the book which you showed me some days ago?

where is the book you showed me some days ago?

Here is the book that I bought yesterday.

Here is the book I bought yesterday.

5. The Adverbial Clause performs the function of an adverbial modifier in the complex sentence.

According to their meaning, Adverbial Clauses can be of different types.

The main types are of:

a) Time, introduced by the conjunctions *when, as, after, till, before, as soon as, until, etc.*

I go home *when* the lessons are over. (when do I go home?)

I shall come *after* I have finished my work.

b) Place, introduced by the connective word *where*:

They stopped *where* the river ran into the sea. (where did they stop?)

მაკონკრეტებული დამოკიდებული წინადადება, რომელიც განსაზღვრავს წინამძღვალ სახელს - son).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თუ მიმართებითი ნაკვალასახელი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების დამატებაა, ის შეიძლება გამოვტოვოთ (რაც არ შეიძლება ქართულში):

კაცი, რომელსაც იქ ხედავ, ჩენი მასწავლებელია.

სად არის წიგნი, რომელიც ჩამდენიმე დღის წინ მაჩვენე?

აი წიგნი, რომელიც გუშინ ვიყიდე.

5. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს გარემოების ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

თავისი შინაარსის მიხედვით გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპისა.

მთავარი ტიპებია:

ა) დროისა, რომელიც წინადადებაში შედის *when, as, after, till, before, as soon as, until* და სხვა კავშირებით:

მე მივდივარ სახლში, როცა გაკეთილები მთავრდება. (როდის მივდივარ სახლში?)

მე მოვალ მას შემდეგ, როცა სამუშაოს დავამთავრებ. (როდის მოვალ?)

ბ) ადგილისა, რომელიც წინადადებაში შედის *where* კავშირებითი სიტყვით:

ისინი გაჩერდნენ, სადაც მდინარე ზღვას უერთდებოდა. (სად გაჩერდნენ ისინი?)

c) Cause, introduced by the conjunctions *because, as, since*:

I cannot come *because* I have no time. (why can't I come?)

He could not do it as *he was very tired*:

d) Condition, introduced by the conjunctions *if, supposing, provided, in case, etc.*

If I have time, I shall go to the theatre.

Supposing he does not come, what shall we do?

I shall give you the book, *provided* you return it tomorrow.

We shall have everything in readiness, *in case he comes in time.*

In Adverbial clauses introduced by the Conjunctions *when, before, if, as soon as, after, until, suppose, provided, unless, etc.* no Future Tense is used. To express a future action we must use one of the Present Tenses:

When you come, I shall show you an interesting book.

If you are not tired, we shall do this work.

As soon as I come home, I shall begin to work.

When I have finished my work, I shall go to the theatre.

After you go there, you may call me.

გ) მიზეზისა, რომელიც წინადადებაში შედის *because, as, since, კავშირებით.*

მე არ შემიძლია მოსვლა, რადგან დრო არა მაქვს. (რატომ არ შემიძლია მოსვლა?)

მან ვერ შეძლო ამის გაკეთება, რადგან ძალიან დაღლილი იყო.

დ) პირობისა, რომელიც წინადადებაში შედის *if, supposing, provided, in case* და სხვ. კავშირებით:

თუ დრო მექნა, თეატრში წავალ.

დაუშვათ ის არ მოვა, როგორ მოვიქცეთ?

მე მოგცემ ამ წიგნს იმ პირობით, თუ ხვალ დამიბრუნებ.

ჩვენ ყველაფერი მზად გვექნება იმ შემთხვევაში, თუ ის დროზე მოვა.

გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში, რომლებიც შემოდიან *when, before, if, as soon as, after, until, suppose, provided, unless* და სხვა კავშირებით, არც ერთი მყოფადი დრო არ იხმარება. მყოფადი მოქმედების გამოსახატავად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ერთ-ერთი აწმყო დრო:

როცა მოხვალ, საინტერესო წიგნს გაჩვენებ.

თუ დაღლილი არა ხარ, ჩვენ ამ სამუშაოს გავაკეთებთ.

როგორც კი სახლში მოვალ, მუშაობას დავიწყებ.

როცა სამუშაოს დავამთავრებ, თეატრში წავალ.

მას შემდეგ როცა იქ წახვალ, შეგიძლია ჩემთან მოხვიდე.

I shall be here *until you come*.

მე აქ ვიქნები, ვიდრე შენ მოხვალ.

Note: When the adverbial clause is placed before the principal clause it is usually separated by a comma.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: როცა გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების წინაა, ის ჩვეულებრივ მძიმით გამოიყოფა.

If the adverbial clause is placed after the principal clause, it is not separated by a comma:

თუ გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების შემდეგაა, ის მძიმით არ გამოიყოფა.

When I have finished my work, I shall go home.

I shall go home when I have finished my work.

PARTS OF THE SENTENCE

წინადადების წევრები

PRINCIPAL PARTS OF THE SENTENCE

წინადადების მთავარი წევრები

The principal parts of the Sentence are the *subject* and the *predicate*.

წინადადების მთავარი წევრებია ქვემდებარე და შემასმენელი.

a) the Subject

ა) ქვემდებარე

The Subject is that part of the sentence about which something is said.

ქვემდებარე ის წევრია წინადადებისა, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი.

The subject answers the questions "who?" and "what?".

ქვემდებარე მიუგებს კითხვებზე „ვინ?“ და „რა?“.

The subject may be expressed by:

ქვემდებარე შეიძლება გამოიხატოს:

1. a noun in the common case:

1. არსებითი სახელით საზოგადო ბრუნვაში:

David is reading.

დავითი კითხულობს.

2. a pronoun:

2. ნაცვალსახელით:

He is a teacher.

ის მასწავლებელია.

This is a map.

ეს რუკაა.

Who is there?

ვინ არის იქ?

Something is wrong.

რალაც წესრიგში არაა.

Somebody was here yesterday.

ვილაც იყო აქ გუშინ.

Everybody wanted to go.

ყველას უნდოდა წასვლა.

3. A numeral:

Ten were present at the lesson.
Millions are fighting for peace.

4. An adjective or a participle used as a noun:

The whites were defeated in the Civil War.

The wounded were carried away.

5. An infinitive or gerund:

To swim is pleasant.
Swimming is pleasant.

6. A verbal noun:

The crying of the child awoke me.

7. A phrase:

How to do this is a difficult task.

Twice two is four.

8. A subject clause:

What she told me yesterday proved to be correct.

THE PERSONAL PRONOUN "IT" AS SUBJECT

The personal pronoun *it* in the function of subject may be used as:

1. A notional subject (if it serves to replace a noun of neuter gender):

Where is my book? (a thing)
It is on the table.

3. რიცხვითი სახელით:

ათი ესწრებოდა გაკვეთილს.
მილიონები იბრძვიან მშვიდობისათვის.

4. ზედსართავით ან მიმღობით, რომლებსაც აქვთ არსებითი სახელის ფუნქცია:

თეთრები დამარცხდნენ სამოქალაქო ომში.
დაჭრილები წაიყვანეს.

5. ინფინიტივით ან გერუნდით: ცურვა სასიამოვნოა.

6. სახელზმნით:

ბავშვის ტირილმა გამაღვიძა.

7. ფრაზით:

როგორ გაეაკეთოს ეს - ძნელი საკითხია.
ორჯერ ორი ოთხია.

8. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებით:

რაც მან გუშინ მითხრა, მართალი აღმოჩნდა.

პირის ნაცვალსახელი "IT" როგორც ქვემდებარე

პირის ნაცვალსახელი *it* ქვემდებარის ფუნქციაში შეიძლება იყოს:

1. სრულმნიშვნელოვანი ქვემდებარე თუ ის იხმარება საშუალო სქესში მდგარი არსებითი სახელის შესაცვლელად:

სად არის ჩემი წიგნი (საგანი)?
ის მაგიდაზეა.

After the *dog* had been caught it was tied to the tree (animal).

A new idea struck Rezo and *it* didn't give him any rest (a notion)

2. As a *formal subject*:

a) In impersonal sentences (the impersonal "it"):

It was a fine day for fishing.

It is two o'clock.

It was raining all day long yesterday.

It is hot (warm, cold) etc.

b) In the function of an *anticipatory "it"* .

The subject of a sentence usually precedes the predicate. If the subject (expressed by an infinitive, a gerund or a whole clause) follows the predicate, the sentence begins with the pronoun *it*, called the *anticipatory "it"*.

It is difficult to translate this letter.

It is no use going there so early.

It is strange that he did not come.

It was difficult to cross that wild stream.

It is not likely that he will come.

c. In the so-called *emphatic construction* of the type:

It is (was) ... that (who, whom).
The emphasized word (any part of

როცა ძალლი დაიჭირეს, ის ხეზე მიაბეს (ცხოველი).

რეზოს ახალი აზრი დაებადა და მოსვენება არ მისცა (ცნება).

2. ფორმალური ქვემდებარე:

ა) უქვემდებარო წინადადებაში:

მშენიერი დღე იყო სათევზაოდ-
ორი საათია.

გუშინ მთელი დღე წვიმდა.

ცხელა (თბილა, ცივა)და ა.შ.

ბ) *it* წინამავლიანი მნიშვნელობით:

საერთოდ ქვემდებარე წინ უსწრებს შემასმენელს. მაგრამ, თუ *it* წინამავლიან წინადადებებში ქვემდებარედ გამოდის ინფინიტივი, გერუნდივი ან მთელი წინადადება, ქვემდებარე ზოგჯერ ღვას შემასმენლის შემდეგ და იწყება ნაცვალსახელით, რომელსაც წინამავალი *the anticipatory it* ეწოდება.

წინამავალი *it* ქართულად არ ითარგმნება.

ამ სტატიის თარგმნა ძნელია.

არ ღირს ასე ადრე წასვლა.

საკვირველია, რომ ის არ მოვიდა.

იმ შმაგი მდინარის გადასვლა ძნელი იყო.

ის ალბათ არ მოვა.

გ. ემფატიკური მნიშვნელობით:

წინადადების ნებისმიერი წევრის (შემასმენლის გარდა) გამოყოფი

the sentence except the predicate) is placed in the middle of the construction:

It was on account of the scar that I first noticed him.

It was only in the morning that I could join my family.

3. The demonstrative "it":

It is my friend Nick.

It is a cat.

b) the predicate

The Predicate is that part of the sentence which tells us something about the subject.

It expresses the action or state of the subject:

David *works*. (action)

The child is *asleep*. (state)

The Predicate can be Simple, Compound (nominal or verbal) and Group-Verb.

1. A Simple Predicate is expressed by a finite verb in any tense, voice and mood:

She studies well. ის სწავლობს კარვად.

They are working. ისინი მუშაობენ.

I have seen him. მე ის ვნახე.

He has been working since 12 o'clock. ის მუშაობს (უკვე) 12 საათიდან.

They will come here. ისინი აქ მოვლენ.

This book was translated by my friend. ეს წიგნი ითარგმნა ჩემი მეგობრის მიერ.

Come here! მოდი აქ!

სათვის ინგლისურში იხმარება *it* ქვემდებარეანი კონსტრუქცია *it is (was) ... that (who, whom)*. წინადადების გამოყოფილი წევრი ამ კონსტრუქციის შუაში თავსდება:

ნაიარევის გამო იყო, რომ მე ის პირველად შევნიშნე.

მხოლოდ დილით შევეძელი ოჯახში დაბრუნება.

3. ჩვენებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით:

ეს ჩემი მეგობარი ნიკია.

ეს კატაა.

ბ) შემასმენელი

შემასმენელი ის წევრია წინადადებისა, რომელიც რაიმეს გვეუბნება ქვემდებარის შესახებ.

იგი გამოხატავს ქვემდებარის მოქმედებას ან მდგომარეობას.

დავითი მუშაობს. (მოქმედება)

ბავშვს სძინავს. (მდგომარეობა)

შემასმენელი შეიძლება იყოს მარტივი, შედგენილი (სახელადი ან ზმნური) და ფრაზული

1. მარტივი შემასმენელი გამოხატულია ზმნის პირიანი ფორმით ნებისმიერ დროში, გვარსა და კილოში.

2. A Compound Nominal Predicate consists of a link-verb and a predicative:

2. შედგენილი შემასმენელი შედგება მაკავშირებელი ზმნისა და სახელადი ნაწილისაგან:

I am a teacher. მე მასწავლებელი ვარ.

a) The link-verb links the subject and the predicative. It shows person, number, mood and tense.

ამაკავშირებელი ზმნა აკავშირებს ქვემდებარეს და სახელად ნაწილს. იგი გვიჩვენებს პირს, რიცხვს, კილოს და დროს.

The principal link-verb is to be.

ძირითადი მაკავშირებელი ზმნაა to be.

The verbs *to get, to grow, to feel, to become, to turn* and some others are also used as link-verbs:

To get, to grow, to feel, to become, to turn და ზოგიერთ სხვა ზმნებსაც აგრეთვე იყენებენ როგორც მაკავშირებელ ზმნებს.

I am a doctor.

მე ექიმი ვარ.

We are students.

ჩვენ სტუდენტები ვართ.

They were ten.

ისინი ათნი იყვნენ.

He was tired.

ის დაღლილი იყო.

I shall be an engineer.

მე ინჟინერი ვიქნები.

They will be teachers.

ისინი მასწავლებლები იქნებიან.

He got angry.

ის გაბრაზდა.

He grew old.

ის მოხუცდა.

She feels cold.

მას სცივა.

He became a chemist.

ის ქიმიკოსი გახდა.

We turned red.

ჩვენ გავწითლდით.

b) The predicative can be expressed by:

ბ) სახელადი ნაწილი შეიძლება გამოიხატოს:

1. A noun in the common case:

1. არსებითი სახელით საერთო ბრუნვაში:

I am a doctor. მე ექიმი ვარ.

2. A pronoun:

2. ნაცვალსახელით:

It is me. ეს მე ვარ.

The book is mine. ეს წიგნი ჩემია.

That was nothing. ეს არაფერი იყო.

3. An adjective:

3. ზედსართავი სახელით:

This book is *good*. ეს წიგნი კარგია.
The air grew *cold*. ჰაერი გაცივდა.

4. A numeral:

4. რიცხვითი სახელით:

We are *ten*. ჩვენ ათნი ვართ.
I was the *first*. მე პირველი ვიყავი.

5. A participle:

5. მიმღობით:

The glass is *broken*. ჭიქა გატყეხილია.

6. A gerund:

6. გერუნდით:

Our aim is *mastering* English. ჩვენი მიზანია დავეუფლოთ ინგლისურ ენას.

Seeing is *believing*. დანახვა იგივე დაჯერებაა.

7. An infinitive:

7. ინფინიტივით:

To decide is *to act*. გადაწყვეტა იგივე მოქმედებაა.
To see is *to believe*. დანახვა იგივე დაჯერებაა.

8. An adverb:

8. ზმნიზელით:

He is *out*. ის გარეთ არის.

9. A predicative clause:

9. შემასმენლური დამოკიდებული წინადადებით.

This is *what I told you*. ეს არის, რაც მე გითხარი.

3. A Compound Verbal Predicate consists either: of a modal verb + the infinitive (the Compound Modal Verbal Predicate) or a verb showing the beginning, the continuation or the end of the action + infinitive (the Compound Aspective Verbal Predicate):

3. რთული ზმნური შემახმენელი შედგება ან მოდალური ზმნისაგან + ინფინიტივი (რთული ზმნური მოდალური შემასმენელი) ან მოქმედების დასაწყისის, განგრძობის გამოთხატველი ზმნისაგან + ინფინიტივი ან გერუნდით (რთული ზმნური ასპექტური შემასმენელი):

I can go there at once. მე შემიძლია იქ ახლავე წასვლა.

We must translate this article. ჩვენ უნდა ვთარგმნოთ ეს სტატია.

You may take this book. თქვენ შეგიძლიათ წაიღოთ ეს წიგნი.

She began to write a letter. მან დაიწყო წერილის წერა.

They began studying a new lesson. მათ დაიწყეს ახალი გაკვეთილის შესწავლა.

He continued to read his book. მან განაგრძო წიგნის კითხვა.

He continued running fast. ის განაგრძობდა ჩქარა სირბილს.

I stopped reading. მე შევწყვიტე კითხვა.

4. A Group-Verb Predicate consists of a finite verb and a noun.

4. ფრაზული შემასმენელი ნელი შედგება ზმნის პირიანი ფორმისა და არსებითი სახელისაგან.

Both elements are so closely connected that they form one sense-unit:

ორივე ელემენტი ისე მკიდროდა და დაკავშირებული, რომ ერთ აზრს გამოხატავს:

She takes care of the children. ის ზრუნავს ბავშვებზე.

It took place last year. ეს მოხდა შარშან.

Let us have a swim. მოდი ვიცურაოთ.

We all took part in the discussion. ჩვენ ყველამ მივიღეთ მონაწილეობა კამათში.

They had a talk and then went to the cinema. მათ ისაუბრეს და შემდეგ კინოში წავიდნენ.

She always took a walk before sunset. ის ყოველთვის სეირნობდა მზის ჩასვლის წინ.

We soon made friends with this boy. ჩვენ მალე დავმეგობრდით ამ ბიჭთან.

AGREEMENT BETWEEN SUBJECT AND PREDICATE

შემასმენლის შემთანხმება მთავარი და რამთან.

The Predicate of the sentence must agree with its subject in number and person.

წინადადების შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს რიცხვსა და პირში.

1. The predicate expressed by a finite verb agrees with the subject in number and person:

1. შემასმენელი, რომელიც გამოხატულია ზმნის პირიანი ფორმით, ქვემდებარეს ეთანხმება რიცხვსა და პირში.

I am a student. მე სტუდენტი ვარ.

They are teachers. ისინი მასწავლებლები არიან.

He reads his lesson. ის კითხულობს გაკვეთილს.

2. If two or more subjects are connected with the conjunction *and* and the verb is plural:

2. თუ ორი ან მეტი ქვემდებარე დაკავშირებულია ერთმანეთთან *and* კავშირით, ზმნა მრავლობითშია:

David *and* I are good friends. დავითი და მე კარგი მეგობრები ვართ.

My father, mother *and* sister live in the country. მამა, დედა და დიდიძე ცხოვრობენ.

3. If two nouns express one person or thing and they are joined by *and*, the verb is singular:

3. თუ *and* კავშირით დაკავშირებული ორი ქვემდებარე ერთ პიროვნებას ან ერთ საგანს გამოხატავს, მაშინ შემასმენელი მხოლოობითშია:

Bread and butter is wholesome food. პური და კარაქი სასარგებლო საჭმელია. (ერთი საგანი ე. ი. პური კარაქით)

The painter and decorator has come. მხატვარი-დეკორატორი მოვიდა. (ერთი და იგივე პიროვნება)

მ ა გ რ ა მ:

The bread and the butter are kept in the larder. პური და კარაქი ინახება საკუჭნაოში. (ცალკე პური და ცალკე კარაქი)

The painter and the decorator have come. მხატვარი და დეკორატორი მოვიდნენ. (ორი სხვადასხვა პიროვნება)

The repetition of the article shows that two different persons and things are meant.

არტიკლის გამეორება გვიჩვენებს, რომ ორი სხვადასხვა პიროვნება და საგანი იგულისხმება.

4. When two subjects are connected by the conjunction *as well as*, the verb agrees with the first one:

4. როცა ორი ქვემდებარე დაკავშირებულია *as well as* კავშირით, ზმნა ეთანხმება პირველს:

He *as well as* I is ready to go. ის, ისევე როგორც მე, წასასვლელად მზად არის.

They *as well as* I are ready to go. ისინი, ისევე როგორც მე, წასასვლელად მზად არიან.

I as well as they am ready to go. მე, ისევე როგორც ისინი, წასასვლელად მზად ვარ.

My comrades as well as I were at the lesson. ჩემი ამხანაგები, ისევე როგორც მე, გაკვეთილზე იყვნენ.

I as well as my comrades was at the lesson. მე, ისევე როგორც ჩემი ამხანაგები, გაკვეთილზე ვიყავი.

5. When two nouns are connected by the preposition with the verb agrees with the first one:

5. როცა ორი არსებითი სახელი დაკავშირებულია with წინდებულთ, ზმნა ეთანხმება პირველს:

A man with his children was here. ერთი კაცი თავისი ბავშვებით აქ იყო.

The children with their father were here. ბავშვები თავიანთი მამით აქ იყვნენ.

6. When two subjects are connected by the conjunction either... or, neither... nor, not only... but also, the verb agrees with the second one:

6. თუ ორი ქვემდებარე დაკავშირებულია "ან...ან, არც...არც, არა მარტო..., არამედ", კავშირებით, ზმნა ეთანხმება მეორეს:

Either she or I am to blame. ან ის ან მე ვარ დამნაშავე.

Either she or we are to blame. ან ის ან ჩვენ ვართ დამნაშავე.

Either David or you know it. ან დავითმა ან თქვენ იცით ეს.

Either you or David knows it. ან თქვენ ან დავითმა იცის ეს.

Neither she nor I am to blame. არც ის და არც მე ვარ დამნაშავე.

Neither she nor we are to blame. არც ის და არც ჩვენ ვართ დამნაშავე.

Neither David nor you know it. არც დავითმა და არც თქვენ იცით ეს.

Neither you nor David knows it. არც თქვენ და არც დავითმა იცით ეს.

Not only she but I am also here. არა მარტო ის, არამედ მეც აქა ვარ.

Not only she but we are also here. არა მარტო ის, არამედ ჩვენც აქა ვართ.

7. Collective Nouns may agree with the verb both in singular and in Plural.

7. კრებითი არსებითი სახელები შეიძლება შეეთანხმოს ზმნას როგორც მხოლოობითში, ისევე მრავლობითში.

a) the verb is singular if the collective noun is taken as a whole:

ა) ზმნა მხოლოდითშია, თუ კრებითი არსებითი სახელი ალებულია როგორც ერთი მთელი:

My family is large, ჩემი ოჯახი დიდია.

The jury consists of ten persons. ჟიური შედგება ათი კაცისაგან.

b) the verb is plural if the things that form the collective noun are taken separately:

ბ) ზმნა მრავლობითშია, თუ ის საგნები, რომლებიც კრებით არსებით სახელს აწარმოებენ, ალებულია ცალ-ცალკე:

My family are at home. ჩემი ოჯახი (იგულისხმება ოჯახის წევრები) სახლშია.

The jury were pleased. ჟიური (იგულისხმება წევრები) დარწა კმაყოფილი. (ქართულში ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ მიღებულია შეთანხმება მხოლოდითში).

Note 1. the following nouns take both a singular verb and a plural verb: *government, company, class, flock, crew, gang, band.*

შ ე ნ ი შ ე ნ ა I: მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ზმნებთან იხმარება შემდეგი არსებითი სახელები: მთავრობა, კომპანია, კლასი, ჯოგი, ეკიპაჟი, ბანდა, გუნდი, ხროვა.

Note 2: The following nouns take a plural verb only:

შ ე ნ ი შ ე ნ ა 2: მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ზმნებთან იხმარება შემდეგი არსებითი სახელები: ხალხი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, შინაური ფრინველი.

people, cattle, poultry.

There were many people in the room. ოთახში ბევრი ხალხი იყო.
The cattle are grazing in the meadow. საქონელი მინდორში ძოვს.
The poultry are in the yard. შინაური ფრინველი ეზოშია.

8. Nouns which are used in a singular sense but have only the plural form take a plural verb:

8. ის არსებითი სახელები, რომლებიც მხოლოდითი რიცხვის მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმა აქვს, იხმარება მრავლობითი რიცხვის ზმნებთან:

The scissors are made of steel. მაკრატელი გაკეთებულია ფოლადისაგან.

My spectacles are very good. ჩემი სათვალე ძალიან კარგია.

9. In some nouns the final -s loses the meaning of the plural inflexion. They are used only in a singular sense and take a singular verb:

9. ზოგიერთ არსებით სახელში დაბოლოება -s კარგავს მრავლობითის მნიშვნელობას. მათ აქვთ მხოლოდობითი რიცხვის მნიშვნელობა და იხმარება მხოლოდობითი რიცხვის ზმნებთან:

Mathematics is a difficult subject. მათემატიკა ძნელი საგანია.

This news is very important. ეს ცნობა ძალიან მნიშვნელოვანია.

10. The indefinite pronouns *each, every, neither, everybody (everyone), somebody (someone), nobody, anybody (anyone), something, anything, nothing* take a singular verb:

10. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები *each, every, neither, everybody (everyone), somebody (someone), nobody, anybody (anyone), something, anything, nothing* იხმარება მხოლოდობითი რიცხვის ზმნებთან:

Everybody knows this book. ყველამ იცის ეს წიგნი.

Somebody was here yesterday. ვიღაცა იყო აქ გუშინ.

Nobody wants to go. არავის სურს წასვლა.

Every bush and every tree was in bud. ყოველი ბუჩქი და ყოველი ხე დაკვირტული იყო.

Each of them was glad to see us. ყოველ მათგანს გაეხარდა ჩვენი დახსება.

Neither of the pupils has made a mistake. არც ერთმა მოსწავლემ არ დაუშვა შეცდომა.

SECONDARY PARTS OF THE SENTENCE

შინადადგამის მეორეხარისხოვანი წამიერება

The Secondary Parts of the sentence are: *the object, the attribute, and the adverbial modifier.*

წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებია: დამატება, განსაზღვრება და გარემოება.

1. The Object

1. დამატება

There are the following kinds of Objects:

შემდეგი სახის დამატებანი არსებობს:

